ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 4 თებერვალი 2000 №19 (1041) | ფასი 50 თეთრი


# ფსიქო, წნევა და აგენტები

## დღეს კვიპროსზე: რუმინეთი vs საქართველო

კვიპროსის საერთაშორისო ტურნირის პირველ, სლოვაკებთან მატჩში გამარჯვების შემდეგ გუშინ საქართველოს ნაკრებმა მორიგი ვარჯიში ჩაატარა, ამჯერად მსუბუქი, უფრო ტაქტიკურ-აღდგენითი. მწვრთნელებმა აქცენტი სტანდარტული მდგომარეობების დამუშავებაზეც გააკეთეს.

რევაზ ძოძუაშვილის თქმით, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა, არავინ არაფერს უჩივის და რუმინელებთანაც მოგების დიდი იმედი აქვს. ეგაა, შვეიცარიაში და რუსეთში მოთამაშენი ჩვეულ ფორმაში ვერ არიან, სათანადო მომზადება აკლიათო, გვითხრა მწვრთნელმა. იგი ერთობ კმაყოფილია სლოვაკების დამარცხებით, მათთან მოგება უპირველსად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანიო, თქვა.

რაც შეეხება გუშინწინდელი მატჩისას შეყილაძისა და კვარაცხელიას პირველივე ტაიმში შეცვლას, მწვრთნელმა ეს იმით ახსნა, რომ ფეხბურთელებს აკლიმატიზაცია გაუჭირდათ, დილით წნევა „შეუთამაშდათ“. შეცვლების მიზეზიც ეს ყოფილა, ისინი მალე დაღლილან. სლოვაკებთან მატჩისას ძოძუაშვილზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება სიჭინავამ და მენთეშაშვილმა დატოვეს.

სავარაუდოა, რომ ძოძუაშვილი და ყიფიანი დღეს ლარნაკაში რუმინელებს ასეთ შემადგენლობას დაუპირისპირებენ:

*გვარამაძე; ხიზანიშვილი, ნემსაძე, სილაგაძე, ჩიხრაძე; ჯამარაული, სიჭინავა, ა. არველაძე, ქეცბაია, ყაველაშვილი; ზ. ჯანაშია.*

არაა გამორიცხული, ძირითად შემადგენლობაში მენთეშაშვილმა ითამაშოს. პირველი მატჩის შემდეგ მას უკვე აგენტების რიგი დაუდგა, „სკონტოს“ მოთამაშეს სხვადასხვა კლუბებში გადასვლას სთავაზობენ.

ქობა ინასარიძე



გუშინწინ ლარნაკაში. სლოვაკეთი — საქართველო 0:2. მიროსლავ ბარჩიკი (№9) და თემურ ქეცბაია

## დღეს თბილისში: გოგოლაძე vs ტერნერი



ინტერკონტინენტალის ინტერინტრიგა: წაართმევს ფოთელს სენტლუისელი ქამარს?

ოცდაერთი წლის სენტლუისელ დევიდ ტერნერს ფოთელი კობა გოგოლაძის კვიპროსში მოპოვებული ინტერკონტინენტალის მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი ისე მოეწონა, დანახვისთანავე შესძახა — ამერიკაში უნდა წავიღოო. მამა გიცხონდა, რინგზე გნახავ რა ბიჭიც ხარო — ჩაილაპარაკა კობამ და სასწორზე შედგა.

ეს ამბავი გუშინ, სასტუმრო „საირმეში“ მოხდა, სადაც პროფესიული კრივისთვის ტრადიციულ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე და მოკრივეთა აწონვაზე მიგვიწვიეს დღევანდელი ბრძოლის ორგანიზატორებმა.

გოგოლაძის მეტოქე დევიდ ტერნერი ერთი მხიარული ამერიკელი ბიჭი ჩანს, პროფესიულ კრივში ბევრი უნახავს, ბევრი გაულახავს და ბევრჯერაც მოხვედრია. ერთ დროს მოყვარულებში ღვრიდა ოფლს, ამერიკის ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლისთვისაც გამოუკრავს ხელი, 1993 წლიდან კი პროფებშია, ახლა თბილისში სტუმრობს და ჩვენებურს ქამრის წართმევას უპირებს.

ანონვის მერე მოკრივეებმა ასევე ტრადიციადქცეული რიტუალი შეასრულეს, პირისპირ დადგნენ და ერთმანეთს თვალებში ჯიქურ ჩახედეს, თვალების ბრიალით რომ ერთმანეთი ვერ დააშინეს, მშვიდად გაიყარნენ, აქაოდა, ახლა ეს ვიკმაროთ, დანარჩენი რინგზე იყოსო.

ერთი სიტყვით, ვინ ვის? გოგოლაძე თუ ტერნერი? რომელს დარჩება ინტერკონტინენტალის ქამარი, დღეს გაირკვევა.

# მოგება-წაგების ფასი

გამარჯვების გემო გაიხსენა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა. ფეხბედნიერი გამოდგა მწვრთნელთა ტანდემის პირველი ნაბიჯი.

ძალიან დიდი დროა 441 დღე. სწორედ ამდენი ხანი ველოდით ეროვნული გუნდის გამარჯვებას. იქნებ განიკურნოს ნაკრები, იქნებ ამობობღდეს უფსკრულიდან.

ჩვენ ის გამარჯვებაც გვახსოვს, ვლადიმერ გუცაევის თავკაცობით რომ მოიპოვეს ესტონელებთან ჭიდილში ქართველებმა. სწორედ ის იყო ბოლოსწინა. შთამბეჭდავს ვერავინ უწოდებდა იმ მოგებას, რადგან, ერთი შეხედვით, ნაძალადევი გამოვიდა. ბალტიისპირელებმა ბოლო ნახევარ საათში აშკარად აჯობეს საქართველოს კლუბების ნაკრებს. ჩვენს კარში ჩაუთვლელი გოლიც გვახსოვს და ჩვენებური მსაჯის მიერ ადრე ჩამთავრებული მატჩიც, მაგრამ მაინც მოგებული დაერქვა იმ თამაშს.



რუმინეთს დღეს ბუქარესტის დინამოელი იონ ლუპესკუ უკაპიტნებს

კვიპროსულ ტურნირში სლოვაკებთან მოგებულ მატჩსაც მოგება ჰქვია სახელად. რა ვუყოთ მერე, რომ ჩვენი მეტოქეები სულ ახალგაზრდები, ჯერაც უწვერული ბიჭები იყვნენ. თემურ ქეცბაიასა და მიხეილ ყაველაშვილის გოლებმა გაგვახსენეს ის, რაც ქართველებმა ადრე კარგად ვიცოდით.

შეიძლებოდა წაგვეგო, თურმე. ახალგაზრდა სლოვაკებს ჰქონიათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ვერ გამოუყენებიათ. რომ გამოეყენებინათ, ალბათ, წავაგებდით. არც მაშინ დაიქცეოდა ქვეყანა, რას ამბობთ, ჯერაც არ წაუგიათო, ამოიოხრებდა გულშემატკივარი, ხელს ჩაიქნევდა და...

მსგავსი ტურნირები ხომ იმისთვისაა, ახალბედები გამოსცადო, ზოგიერთი მოთამაშის მზადყოფნა შეამოწმო, რაღაც ახალი დაამუშავო.

ვთქვათ, მოიგეს ჩვენებმა რუმინეთთან და ფინალში გაალწიეს. ეს არ იქნება გმირობა, არც უცნაური იქნება იმ გამარჯვებაში რამე. რუმინელებსაც მეორე შემადგენლობა ჩაუყვანიათ კვიპროსში, ფაქტობრივად, არცერთი ვარსკვლავი. სულაც არ უჭირთ, მაგამ მაინც მომავლისკენ იხედებიან.

რომ წავაგოთ რუმინეთთან? არ შეიქმნება ამ მარცხისგან ტრაგედია. უბრალოდ მარცხი იმის მაჩვენებელი გახდება, რომ სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია.

ამ სტრიქონების წერისას ვფიქრობ, ხომ არ აჯობებს, საქართველოს ნაკრებმა რუმინელებთან დღევანდელი მატჩი წააგოს, თუ კი ეს პრობლემათა უკეთ დანახვაში წაადგება?! ალბათ აჯობებს, მაგრამ ამდენი მარცხიც რომ მოსაბეზრებელია...

თუ მოიგებენ ქართველები დღეს, მაშინ გავლენ ფინალში და, რატომღაც მგონია, პირველ ადგილსაც დაისაკუთრებენ.

მალტის ტურნირი ხომ გახსოვთ, საქართველოს ნაკრებმა ტრიუმფით რომ მოიგო. ამას მოჰყვა ზოგიერთი ფეხბურთელის ცხვირის აწევა, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება და კრახი იქ, სადაც სიმამაცე, ერთგულება და კარგი თამაში იყო საჭირო.

კვიპროსის ტურნირში გამარჯვება წაგებულის ფსიქოლოგიას მოაშორებდა ეროვნულ ნაკრებს. ეს კარგი იქნებოდა. ცუდი ისაა, თუ ახლანდელი მოგება წინანდელივით უქმად ჩაივლის.

რა გვაჩვენა სლოვაკებთან მატჩმა. რა და, ქეცბაია რომ საჭირო ფეხბურთელია. მისი ნაკრებში ყოლა კი მაშინაც სასურველია, როცა კლუბში სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. ქეცბაია ის მოთამაშეა, ვინც ამას არასდროს შეეგუება.

გოჩა ჯამარაული მუდამ სახიფათო ფეხბურთელია მეტოქეთათვის. ყაველაშვილის სასიკეთოდ გამოყენებაც მუდამ შეიძლება.

ქართველებში ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილა არჩილ არველაძე. ზაზა ჯანაშია კი, როგორც ყოველთვის, საფეხბურთო სეზონს ძნელად იწყებს. ასე იცის საშობაო-საახალწლო არდადეგებზე მოლხენამ. სამაგიეროდ, კარგად სტარტალებულს აღარ ჰყავს ბადალი.

კვიპროსულ ტურნირში-მოგება წაგებას ერთი ფასი აქვს. უბრალოდ, შეიკრიბნენ ბიჭები, ერთმანეთი მოიკითხეს, მწვრთნელები ნახეს, მოუსმინეს, ივარჯიშეს.

მთავარი ბრძოლები შემოდგომაზე იწყება. იქ გამოჩნდება 9 თვის ნაშრომ-ნაფიქრალი და ისიც, რა მოგვცა კვიპროსმა.

ახლა კი სლოვაკი ახალგაზრდების დამარცხებაც საქმეა — სწორედ მაშინ, როცა 441 დღე არ მოგვიგია.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ქართველი ვეტერანები ანთალიაში



სერგო კოტრიკაძე

ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილისთვის მებრძოლი თბილისური „ვიტ ჯორჯია“ დღეიდან მზადების მესამე ეტაპს იწყებს. ამ დილით ვეტერინარები ანთალიის გზას დაადგნენ და თურქეთში 18 თებერვლამდე დარჩებიან.

გუნდის მწვრთნელმა სერგო კოტრიკაძემ შეკრებაზე 22 ფეხბურთელი იახლა:

*მეკარეები: მირზა მერლანი, დავით მამარდაშვილი, სერგო ჭურაძე;*

*მცველები: ელიკ საჯაია, გიორგი ჭანკოტაძე, ჯაბა მუჯირი, სევასტი თოდუა, თენგიზ კობიაშვილი, ზვიჩა ზართიშვილი, ირაკლი ბარქაია;*

*ნახევარმცველები: ლაშა ნოზაძე, ზვიად გვაზავა, დავით დიღმელაშვილი, ირაკლი ხაჭაპურიძე, გიორგი ყიფიანი, დავით დოლიძე, ვალერი კოტორაშვილი;*

*თავდამსხმელები: გიორგი ქორიძე, რევაზ გოცირიძე, ლევან მელქაძე, არჩილ ბოკერია, ვლადიმერ გოჩაშვილი.*

„ვიტ ჯორჯია“ ანთალიაში სულ მცირე ოთხ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. ვეტერინარები 8 თებერვალს თურქეთის უმაღლესლიგელ „ანკარაგიუჯიუს“ გაეჯიბრებიან, 10-ში გერმანიის რეგიონალური ლიგის „აუგსბურგთან“ მოსინჯავენ ძალებს. 12-ში თურქეთის მეორე ლიგის ერთ-ერთი ბინადარი ეყოლებათ სპარინგ-პარტნიორად, ხოლო 14 თებერვალს „ანთალიასფორთან“ ითამაშებენ.

არ არის გამორიცხული, ჩვენებურებმა კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გამართონ ერთ-ერთ რუსულ გუნდთან.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე „ვიტ ჯორჯია“ მზადების მეოთხე, ბოლო ეტაპს თბილისში დაასრულებს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# კარნევალე ერთ მატჩში ორ გუნდს ათამაშებს

გუშინ იტალიურ ნორჩაში მყოფმა „ბათუმმა“ „ზამთრის თასის“ გათამაშებაზე ჯგუფში მეორე მატჩი გამართა. მეტოქე იტალიის სერია C1/ბ-ს „არეცო“ გახლდათ.

ჩვენებურებმა ალმაფრენით ითამაშეს და იტალიელები 3:1 დამარცხეს. გოლები ბათუმელთაგან გუნდში უკვე მეორედ მიბრუნებულმა ლევან ხომერიკმა, ამირან მუჯირმა და არჩილ რომანაძემ გაიტანეს. „არეცოს“ კი ის ერთადერთი ბურთი მაშინ შეუგდია, როდესაც ხომერიკის გოლის შემდეგ 0:1 აგებდა.

როგორც „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ ცინარიძემ წუხანდელი სატელეფონო საუბრისას გვაცნობა, ჯანი კარნევალემ 3-4-3 ტაქტიკური სქემა გამოიყენა და გუნდის თამაშითა და შედეგით ერთობ კმაყოფილი დარჩა. წინა მატჩში რუმინულ „რეშიცასთან“ კარნევალემ, როგორც იცით, პირველი ნახევრის შემდეგ თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა, ახლაც ასე მოქცეულა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად შეცვლაზე ცხრა ბათუმელი შევიდა, ხომერიკსა და პაატა მაჭუტაძეს 90 წუთი უთამაშიათ.



ტრავმამოშუშებულმა ლევან ხომერიკმა გატანა დაიწყო

ბადრი კიკილაშვილის ფოტო

პირველ ტაიმში „ბათუმმა“ ასეთი შემადგენლობა გამოიყვანა: ტოგონიძე; არჩვაძე, ხუჯაძე, ივანე მახარაძე; კობიძე, ქორიძე, ტულუში, მუჯირი; ხომერიკი, მაჭუტაძე, პეტრიაშვილი.

მეორეში კი მინდორზე გავიდნენ ჩლაიძე, მალხაზ მახარაძე, ბარნოვი, მინდაძე, ქაცარავა, თედორაძე, აფხაზავა, რომანიძე და ხორვატი ლეგიონერი.

თამაზ ცინარიძემ აგრეთვე გვითხრა, რომ ხორვატი ნახევარმცველი გვარად ბოკიჩი ყოფილა. კარნევალე თურმე არჩევანის წინაშეა — აიყვანოს თუ არა იგი გუნდში, ნორმალურია, მაგრამ არცთუ ძლიერიაო. ასე რომ, ბოკიჩი ან გახდება „ბათუმის“ ლეგიონერი, ანაც არა.

ორი ტურის შემდეგ „ზამთრის თასის“ გათამაშებაზე A ჯგუფს რუმინული გუნდები — „სტიაუა“ და „რეშიცა“ ლიდერობენ 4-4 ქულით, „ბათუმი“ 3 ქულით მესამეა, „არეცო“ კი მეოთხეა 0 ქულით. გუშინდელი მატჩი „სტიაუასა“ და „რეშიცას“ შორის 1:1 დასრულდა.

შაბათს „ბათუმი“ „სტიაუას“ ეთამაშება. თუ ჯგუფიდან გასვლა უნდა, ტიტულიანი მეტოქე აუცილებლად უნდა დაამარცხოს, სულ ცოტა მეორე ადგილი რომ დაიკავოს. ხუთი ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ჯგუფებში გამარჯვებული და სამი საუკეთესო მეორე გადის.

„არეცოსთან“ ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშეს ირაკლი თარგამაძემ, ავთანდილ ღლონტმა და კახა სიხარულიძემ.

ერთი სიტყვით, „ბათუმმა“ იტალიაში პირველი მატჩი მოიგო, პირველადვე გუნდში ხელმეორედ დაბრუნების მერე გაიტანა ლევან ხომერიკმა...

...შაბათს, საღამოს, „ბათუმი“ — „სტიაუა“...

**გიორგი ვაშაკიძე**

# თბილისს იმედი გაუჩნდა

სამეორეეტაპო სამზადისს განაგრძობს პირველი ლიგის დებიუტანტი „თბილისი“. ამ გუნდს, როგორც იცით, გაზაფხულიდან რჩეულთა შორის ადგილის დამკვიდრებისთვის მოუწევს ბრძოლა და მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძეც ერთობ შეფიქრიანებულია. ამის საბაბი კი მას ნამდვილად აქვს. პირველი ეტაპის შემდეგ ხომ „თბილისი“ ერთბაშად თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა. ცოტა ხნის წინ მათ ვალერი გაგუაც შეუერთდა, იგი დღეისათვის „სკონტოსთან“ ერთად გადის მზადებას.

მუმლაძემ ამას წინათ განუცხადა „სარბიელს“, რომ რამდენიმე გამოცდილ მოთამაშეს დაიმატებდა. მწვრთნელმა სიტყვა შეასრულა. დღეისათვის „თბილისში“ ვარჯიშობენ ვასილ მაისურაძე, ზვიად პაპიძე და გიორგი ლუდუშაური. მუმლაძეს მათი დიდი იმედი აქვს, თანაც სეზონის განახლებამდე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებს და არ გაუჭირდება „თბილისს“ — გვარწმუნებს მთავარი მწვრთნელი.

დებიუტანტებმა მზადების პირველი ეტაპი უკვე მოილიეს. გუნდი დიღმის ბაზაზე ვარჯიშობდა კლუბის პრეზიდენტის, მალხაზ ლომთაძის (?) ხელშეწყობით. მესხის ტურნირის წინ თბილისელები სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზშიც ემზადებოდნენ (როგორც იცით, ამან შედეგიც გამოიღო). დღეიდან კი გუნდი კვლავ დიღმის ბაზას დაუბრუნდება და მეორე ეტაპის დაწყებამდე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც გამართავს.

**პაატა ქვანტალიანი**

# დილაა, კარგი შანსია

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინ დასრულებული მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი პირველი ლიგის ზოგიერთმა გუნდმა მოახლოებული საგაზაფხულო სეზონისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად გამოიყენა. მათ შორისაა გორის „დილაც“.

„ამ ტურნირზე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი ვათამაშეთ. ვფიქრობ, მათ ეს სამომავლოდ კარგად წაადგებათ. გარკვეული პრაქტიკაც გაიარეს და ცოტა გამოცდილებაც შეიძინეს“ — გვითხრა გუშინ „დილას“ მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა.

გორელები მეორე ეტაპისთვის ვარჯიშს 11 იანვარს შეუდგნენ. გუნდმა საშუასეზონო შესვენებისას ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი მოისაკლისა. მიხეილ თაყაძე მოლდოვურ „შერიფში“ იმყოფება გასასინჯად. მეკარე რამაზ სოლოლაშვილსა და ნახევარმცველ ქრისტეფორე შატაკიშვილს კი ტოლიატის „ლადას“ მწვრთნელები აკვირდებიან. თუ ფეხბურთელები მათ თავს მოაწონებენ, კლუბშიც დარჩებიან. საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში თაყაძეც, შატაკიშვილიც და სოლოლაშვილიც „დილაში“ გააგრძელებენ კარიერას.

მათ შემცვლელებად გორელთა ხელმძღვანელობამ ალბერტ საყვარელიძე, ლაშა კარელიძე და არჩილ ოლგესაშვილი შეიგულეს. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები „დილაში“ აქამდეც ირიცხებოდნენ, თუმცა მინდორზე გასვლის საშუალება ძალიან იშვიათად ეძლეოდათ. ამჯერად კი სხვაგვარად იქნება. მწვრთნელებმა აქცენტი ძირითადად ახალგაზრდებზე გადაიტანეს. ძალიან პერსპექტიული ბიჭები არიან, თანაც ყველა ადგილობრივ სკოლაში აღიზარდა. გვსურს, მათი ნიჭი მაქსიმალურად გამოვიყენოთო, აღნიშნა კოჭლაშვილმა.

წლევანდელ ჩემპიონატში გუნდის მიზანიც აქედან გამომდინარეობს. „დილა“ რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავებას ეცდება. პროგრამა-მაქსიმუმი კი ამ ახალგაზრდების გუნდთან შერწყმა და მომავალი ჩემპიონატისთვის ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება იქნება.

„დილა“ მზადებას მთლიანად გორში გაივლის, 14 თებერვლიდან 10-12 დღიან შეკრებასაც მოაწყობს. მართალია, კლუბში ფინანსურად ნორმალური მდგომარეობაა, მაგრამ მწვრთნელებს სხვაგან წასვლას ისევ შეკრების გორში მოწყობა უმჯობინებიათ. „დილა“, ცხადია, საწვრთნელ-საკონტროლო მატჩებსაც გამართავს. უახლოესი 6 თებერვალს „თბილისთანაა“ დაგეგმილი.

**ვანო ოქროპირიძე**

# ვალერი ჩოლარია: მილიონი გზაშია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე, ალბათ, მოგეხსენებათ. ათი წელია, ეროვნული ფედერაცია მართავს ქართულ ფეხბურთს, ათი წელია, ფინანსურ სიდუხჭირეზეა ლაპარაკი, ათი წელია, ფედერაცია წელში ვერ გაიმართა. მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა შეეცვალა, ფინანსურადაკიდევ უფრო გაუჭირდა ფედერაციას, რა ხანია, მის ანგარიშს ყადაღა ადევს.

ფეხბურთის ფედერაციამ წლეულს ოდნავ შეივსო ქისა, სალაროს ფიფადან გადმორიცხული 250 ათასი დოლარი შემატა. ეს თანხა იმ მილიონი დოლარის ნაწილია, ოთხ წელიწადში რომ მიიღებენ. ამ მილიონით ოფისისა და სანაკრებო ბაზის აშენებას, ნაკრებისთვისვე ავტობუსის შეძენას აპირებენ.

ეს ყოველივე ფიფას პროგრამა „გოლის“ წყალობაა, რომლის პრეზიდენტაციაც ყოფილი მოკავშირე ქვეყნებისთვის ამას წინათ მოსკოვში მოეწყო. ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერიც იქ ბრძანდებოდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია კი მოსკოვური შეკრების შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირის საუკუნოვან იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს დაესწრო, მერე შვეიცარიული ფირმა „ტელესპორტის“ უფროსებს შეხვდა, თბილისში გამომგზავრებამდე კი საქართველოს ნაკრების პოტენციურ ტექნიკურ სპონსორთან, ფირმა „ლოტოსთანაც“ შეათანხმა გარკვეული საკითხები.

გუშინ ვალერი ჩოლარიამ მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი-ფეხბურთის ტურნირის გამარჯვებულები დააჯილდოვა, შემდეგ კი ინტერვიუც მოგვცა.


ვალერი ჩოლარია

— მოსკოვამდე ფიფასთან ფაქსით გვქონდა მიმოწერა და თითქმის ყველაფერი წინასწარ ვიცოდით. ბლატერის გამოსვლის შემდეგ მერაბ ჟორდანია და მე, ასევე რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციათა წარმომადგენლები პროგრამა „გოლის“ დირექტორს ნახევარ-ნახევარი საათით შევხვდით. მან ჩვენი გეგმა მოიწონა, შენობა და ბაზა დააპროექტეთ, გამოგვიგზავნეთ და დაგაფინანსებთო. ყველაფერს ორ-სამ თვეში მოვაგვარებთ, მშენებლობასაც დავიწყებთ.

ერთი სიტყვით,. მოსკოვში წასვლამდე რაც კი ჩაფიქრებულ-დაგეგმილი გვქონდა, ფიფასგან უარი არაფერზე მიგვიღია. მოსკოვშივე გავიგეთ, რომ 17-18 თებერვალს საქართველოს უეფას სტადიონების კომისია ესტუმრება. მათ ეროვნულ სტადიონს, „ტორპედოს“, „შევარდენს“, „მიხეილ მესხის“, „ფაზისსა“ და ბათუმის „დინამოს“ სტადიონებს დავათვალიერებინებთ.

**— დასათვალიერებელი რა არის?**

— არა მგონია, უეფამ ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის სტადიონები დაიწუნოს. ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩებისათვის მცირე გარემონტების შემდეგ „შევარდენიც“ გამოდგება. აი, ეროვნული კი... იცით, უეფას კომისია ევროპის საკლუბო ტურნირებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების დაწყებამდე საქართველოში მეორედ იმ შემთხვევაში ჩამოვა, თუ ჩვენს წინგადადგმულ ნაბიჯს დაინახავს. ასე რომ, უნდა ვეცადოთ, მათ მეორედაც ვუმასპინძლოთ.

**— ეროვნული სტადიონის განათების თაობაზე ახალი არაფერია?**

— თბილისის მერიის იმედი გვაქვს. მათ პირობა მოგვცეს, რომ განათებას აგვისტომდე მოაწესრიგებენ. ჩვენც გვჯერა. სხვათა შორის, უეფას კომისია მარტო საქართველოს სტადიონებს არ შეამოწმებს, ისინი სომხეთიდან მანქანით ჩამოვლენ, საქართველოს გავლით თურქეთს ესტუმრებიან და იქიდან მთელ აღმოსავლეთ ევროპას შემოივლიან.

**— გერმანიაში, „ტელესპორტთან“ რაზე ილაპარაკეთ?**

— თბილისში იტალიასთან მატჩის ტრანსლირებისთვის 18 თანამედროვე ვიდეოკამერა და 1200-ლუქსიანი განათება მოითხოვეს, სხვა წვრილმანებთან ერთად. ჩვენ კი სულ 12 კამერა გვაქვს, ისიც საკითხავია, როგორ მდგომარეობაში, განათებაც უვარგისია. ძირითადად ამაზე ვისაუბრეთ, იტალიის მასპინძლობა ხომ ფინანსურად ერთობ მომგებიანია. სიტყვამ მოიტანა და აქვე გეტყვით, საქართველოს ტელევიზიას ეროვნული გუნდის საშინაო მატჩების ტრანსლირების უფლება უფასოდ მივეცით. ჩვენი ხაზინა ამის საშუალებას გვაძლევს. ტელემაყურებელს უფეხბუროდ ვერ დავტოვებდით.

**— გერმანიის საფეხბურთო კავშირის იუბილეზე ჩვენთვის რაიმე საინტერესო ხომ არ ყოფილა?**

— კავშირის პრეზიდენტს, ეგიდიუს ბრაუნს შევხვდით. ძალიან გულთბილად მიგვიღო და შეძლებისდაგვარად დახმარებასაც დაგვპირდა. უახლოეს მომავალში გერმანიას კვლავ ვესტუმრებით და უფრო კონკრეტულად დავილაპარაკებთ.

**— „ლოტოს“ უკვე შეუთანხმდით ტექნიკურ სპონსორობაზე?**

— ის ორი გაურკვეველი საკითხი გავარკვიეთ...

**— პრობლემა რა იყო?**

— ჩვენ იტალიასთან მატჩის წინ „ლოტოს“ საქართველოს 70-კაციანი დელეგაციის 4-დღიანი შეკრების დაფინანსებას ვითხოვდით. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ „ლოტო“ 50 კაცის ხარჯს იკისრებს, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებისას. მეორე საკითხი სათამაშო ბუცებს შეეხებოდა. ჩვენი ვითხოვდით, 7-8 ფეხბურთელს ჰქონოდა ბუცის არჩევის საშუალება, დანარჩენები „ლოტოს“ მოირგებენო, ვუთხარით. ამაზე ვიკამათეთ, ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ სხვა ფირმის ბუცებით სამმა-ოთხმა ფეხბურთელმა ითამაშოს. სამაგიეროდ კი „ლოტო“ ბურთების მეტ რაოდენობასდაგვპირდა ჩვენი ინიციატივა იყო „ლოტოს“ წარმომადგენლობის გახსნაც საქართველოში. პატარა ბაზარიაო, გვითხრეს. ვნახოთ, ამაზე კიდევ დავილაპარაკებთ.

**— კონტრაქტი როდის უნდა გააფორმოთ?**

— ამ თვის ბოლოს გვაქვს „ლოტოს“ ცენტრალურ ოფისში საბოლოო შეხვედრა. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ კონტრაქტსაც გავაფორმებთ და მაისურების დიზაინსაც მაშინვე შევარჩევთ.

კობა ინასარიძე

# კანონი ყველასთვის კანონია

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურში ხობის „კოლხეთი“ საკუთარ მინდორზე სამტრედიის „იბერიასთან“ დამარცხდა.

იმ სკანდალური მატჩის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ზოგი დამნაშავე დასაჯეს, ზოგიც...

მაინც შეგახსენებთ. თავისიანების წაგებით გაღიზიანებულმა გულშემატკივართა ნაწილმა ყველაფერში დამნაშავედ მსაჯები მიიჩნია და მატჩის არბიტრი ალექსანდრე მეშკოვი ფიზიკურად შეურაცხყვეს.

ამ დანაშაულში სხვებთან ერთად ადგილობრივი პოლიციაც მონაწილეობდა. მსაჯ-დელეგატთა სიტყვიერი შეურაცხყოფა (პოლიციელთა მხრიდან) გასახდელშიც გრძელდებოდა.

„სარბიელმა“ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიიღო წერილი, რომელიც ამ ინციდენტის გამოძიებას ეხება...

შინაგან საქმეთა ორგანოებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ა. დაუთაშვილი გვატყობინებს. „ზემოაღნიშნული საქმის თაობაზე შემოწმების ჩატარება დაევალა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას. ჩატარებული მოკვლევის შედეგად, გასული წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხობის ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის ჩადენის ფაქტზე. საქმის გამოძიება აყვანილია კონტროლზე.“

ბუნებრივია, პასუხი ემოციებსაყოლილ პოლიციელებს მოეთხოვებათ.

საქართველოს გენერალური პროკურატურა | ГЕНЕРАЛЬНАЯ ПРОКУРАТУРА ГРУЗИИ

380033, თბილისი, გორგასლის ქ. 24, ტელ: ______, ტელეტაიპი: 212277 | 380033, Тбилиси, ул. Горгасали 24, Тел.: ______, Телетаип: 212277

12.01.2000 19/1-99

თქვენს на Ваш № ______

გაზეთ "სარბიელი"-ს მთავარ რედაქტორს ბატონ ზ. ღოკავერიას

ბატონო ზურაბ,

გასული წლის ნოემბერში თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია სათაურით — "საქმეში პოლიცია ჩაერია... სამწუხაროდ", რომელიც ეხებოდა ქ. ხობში, ხობის "კოლხეთი"-სა და სამტრედიის "იბერია"-ს შორის საფეხბურთო მატჩის დამთავრების შემდეგ არბიტრებისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

აღნიშნულის თაობაზე შემოწმების ჩატარება დაევალა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას. ჩატარებული მოკვლევის შედეგად, გასული წლის დეკემბერში, შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხობის ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის ჩადენის ფაქტზე.

საქმის გამოძიება აყვანილია კონტროლზე.

პატივისცემით,

შს ორგანოებში მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი — ა. დაუთაშვილი

# ვიცე-ჩემპიონთა უგოლო ფრე
## ტორპედო: ანთალიიდან ალბენაში


გელა კიკალეიშვილი

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ“ მეექვსე საკონტროლო მატჩიც გამართა და ანთალიაში ათდღიანი შეკრება დაასრულა.

ამჯერად საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ყაზახეთის ვიცე-ჩემპიონს, პეტროპავლოვსკის „იესილის“ დაუპირისპირდა და უგოლო ფრეს დასჯერდა.

„მეტოქემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა — გვითხრა ქუთაისელთა გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა გელა კიკალეიშვილმა — ყაზახური კლუბის შემადგენლობაში რუსი ეროვნების ფეხბურთელები ჭარბობდნენ. საინტერესო თამაში გამოდგა. წესით, უნდა მოგვეგო, მაგრამ თავდამსხმელებმა რამდენჯერმე შესცოდეს. გია მეგრელაძემ ორჯერ მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ მოახერხა გოლის გატანა. შეხვედრაც 0:0 დასრულდა. აქამდე რაც გუნდებს ვეთამაშეთ, ჩემი აზრით, „იესილი“ მათ შორის ყველაზე კარგად გამოიყურებოდა.“

„ტორპედომ“ ამ შემადგენლობით ითამაშა: *ჭანტურია, ამისულაშვილი, თავბერიძე, თურმანიძე (მახვილაძე), მალაკელიძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი (ასათიანი), იონანიძე, კანაშია, მეგრელაძე.*

დღეს დილით „ტორპედომ“ სასტუმრო „ოფო ანთალია“ დატოვა და ბულგარეთს გაემგზავრა. ბალკანეთში ჩვენებურები 14 თებერვლამდე დაჰყოფენ და საერთაშორისო საკლუბო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. 7-ში სასტუმრო „ალბენაში“ დაბინავებულთ გუნდის თავკაცი, კვიპროსში მყოფი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი დავით ყიფიანიც შეუერთდება.

ხვიჩა სანიკიძე

# პუზაჩი დემეტრაძით კმაყოფილია

კიევის „დინამოს“ მეორე მწვრთნელი ანატოლი პუზაჩი კმაყოფილია კვიპროსზე ახალწვეულ გიორგი დემეტრაძის ნაჩვენები თამაშით. „როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი კარგად გამოიყურებოდა. განსაკუთრებით ინდივიდუალური თვისებების გამოვლენისას, რაც გერმანიის „როტ ვაისთან“ შეხვედრაში გამოჩნდა“ — თქვა პუზაჩმა. შეგახსენებთ, რომ ვალერი ლობანოვსკიმ დემეტრაძე ჩემპიონთა ლიგის განაცხადში 27 ნომრით შეიყვანა. მანამდე კი კიევი საკუთარ ბაზაზე კონჩა ზასპაში „შახტიორს“ და ცსკ-ს შეხვდება. შემდეგ დემეტრაძისა და კალაძის გუნდს „მილანი“ ელის. ეს ამახაგური შეხვედრა 22 თებერვალს იტალიაში გაიმართება. ამის მერე კი ლიგის მატჩია ნორვეგიის „რუსენბორგთან“.

სიმონ მენაბდე

# ჯიშკარიანი სოკოლში, ჯელაძე ნოდიასთან

რუსეთის პირველდივიზიონელმა სარატოვის „სოკოლმა“ ბოლო წამს შეაჩერა მოლაპარაკებები უმაღლესი დივიზიონის წარმომადგენელ ნოვოროსისკის „ჩერნომორეცთან“ და აღარ გაყიდა ერთ დროს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი მიხეილ ჯიშკარიანი. ექსცხუმელი მომავალ სეზონშიც სარატოველთა ღირსებას დაიცავს.

აი, მეორე სოკოლელი ზვიად ჯელაძე კი შეიძლება გივი ნოდიას სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივში“ აღმოჩნდეს. ჯელაძე ახლა სწორედ ნოდიას კლუბთან ერთად ემზადება, თუმცა ჯერ არ არის გადაწყვეტილი მისი კლუბში დარჩენა.

სიმონ მენაბდე

# გორდას ბურთი გაგორდა

## მიხეილ მესხის ტურნირი კილასონიების ბენეფისად იქცა

**დინამო 0:2 გორდა**

0:1 გ. კილასონია (47), 0:2 ვ. კილასონია (49)

**თბილისი 4:2 დილა**

0:1 ლომიძე (11), 1:1 ბურდული (13), 2:1 ტყებუჩავა (17), 2:2 ხორგუაშვილი (26), 3:2 მაჭავარიანი (37), 4:2 ბურდული (50)

**მესამე ადგილისთვის**

**დინამო 4:1 დილა**

0:1 სულთანიშვილი (10), 1:1 შენგელია (15), 2:1 ზამთარაძე (32), 3:1, 4:1 რუხაძე (40, 50)

**ფინალი**

**თბილისი 2:8 გორდა**

0:1 კ. ალადაშვილი (9), 0:2 ვ. კილასონია (20), 1:2, 2:2 გონჩაროვი (21, 27), 2:3, 2:4 გ. კილასონია (31, 38), 2:5, 2:6 ვ. კილასონია (47, 48), 2:7 ბერიძე (49), 2:8 ბაჩილავა (50)

მინი-ფეხბურთში მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი რუსთავის „გორდამ" მოიგო. რუსთაველებმა მთელი ტურნირი ჩინებულად ჩაატარეს და ღირსეულადაც გაიმარჯვეს. „გორდას" ეს წარმატება, უპირველეს ყოვლისა, ძმებ კილასონიების დამსახურებაა. მათი თამაში ერთი სიტყვითაც შეიძლება შეფასდეს — ბრწყინვალე.

„გორდამ" ფინალურ მატჩში ახალგაზრდული „თბილისი" გაანადგურა — 8:2. თუმცა სჯობს, თავიდან მივყვეთ და ჯერ ნახევარფინალურ მატჩებზე ვთქვათ.

„დინამო" — „გორდას" ნახევარფინალი მატჩი ფინალსაც დაამშვენებდა. იყო დაძაბულობა, მედგარი ბრძოლა, ლამაზი კომბინაციები და შთამბეჭდავი გოლები. „გორდამ" იმარჯვა და დამსახურებულადაც. მინი-ფეხბურთს თავისი წესები აქვს, ძირითადად, ბურთის გორება და თამაშის ტემპის მონაცვლეობა, რაც რუსთაველებზე კარგად ტურნირზე მონაწილე არც ერთ გუნდს არ გამოსდიოდა. ეს უდავოდ ძმები კილასონიების „ბრალია" — მათი ბურთის ფლობის კულტურა, პასები, მოძრაობა და კარში დარტყმები ერთობ დახვეწილია. „დინამოსთან" გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა მცველმა დათო ბერიძემაც.

პირველ ნახევარში დინამოელები ძირითადად კონტრშეტევების იმედად იყვნენ, რაც ცუდად არ გამოსდიოდათ, მაგრამ ბოლო წამს ბერიძის ბარიერს აწყდებოდნენ და მათი მონდომებაც წყალში იყრებოდა. ტურნირის რეგლამენტით ნახევარფინალური მატჩები (ისევე, როგორც მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალური შეხვედრა) 25-წუთიანი ტაიმებისგან შედგებოდა, მიუხედავად ამისა, გუნდებს დაღლა არ დასტყობიათ და მეორე ნახევარმაც სწრაფ ტემპში ჩაიარა. ეგ იყო, დაძაბულობამ იმდენად იმატა, რომ მატჩის განმავლობაში მსაჯს შვიდჯერ მოუხდა ორივე გუნდის ფეხბურთელების გაფრთხილება. „გორდა" მთელი ძალით უტევდა ჩიხრაძის კარს. ჯერ ბერიძის ძლიერად დარტყმული მოიგერია გოლკიპერმა, მერე კიტეიშვილს მიეცა გოლის გატანის კარგი შანსი. საპასუხოდ წიტაიშვილმა გააცუდა ხელსაყრელი მომენტი, იქვე დათუაძემ ძელს გაარტყა ბურთი და შემდეგ ისევ ჩიხრაძის ჯერი დადგა. დიდებული იყო თბილისელთა მეკარე, ბევრი ძნელი ბურთის აღება შეძლო, გიორგი კილასონიას კი ისეთი გოლის გატანა არ დაანება, გაკვირვებულმა რუსთაველმა ორივე ხელი გაშალა. ხელების გაშლა უმცროს კილასონიას ერთხელაც მოუხდა — შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ჩიხრაძე და „დინამო" გატყდნენ და გიორგიმ უფროსი ძმის პასის შემდეგ ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. „დინამო" მარცხის საფრთხის წინაშე დადგა და რისკსაც არ მოერიდა, თუმც ბოლოსწინა წუთზე მოწინააღმდეგის კონტრშეტევა გაეპარა და კიტეიშვილის გადაცემით ვარლამ კილასონიამ ტურნირზე თავისი მეცხრე გოლი გაიტანა.

დაძაბულად წარიმართა მეორე ნახევარფინალური მატჩიც „თბილისსა" და „დილას" შორის, საბოლოოდ ახალგაზრდა თბილისელებმა იმარჯვეს. ეს გუნდი „ბენდელას თასზეც" ღირსეულად გამოვიდა და მისი ფინალში გასვლა სულაც არ არის გასაკვირი და მოულოდნელი, მით უფრო, რომ ახალგაზრდა თბილისელებს მინი-ფეხბურთის ავანჩავანში კარგად გარკვეული, გამოცდილი მამუკა მაჭავარიანი უმაგრებდათ ზურგს.

ანგარიში „დილამ" გახსნა, ხორგუაშვილის გადაცემა ლომიძემ გამოიყენა და თავისიანები დააწინაურა. ორ წუთში ლადო ბურდულმა გაქვითა მაჭავარიანის პასით. ამ დუეტს კარგად შეეწყო ყოფილი არსენალელი ბორის გონჩაროვი. სწორედ მან მიაწოდა ბურთი ტყებუჩავას, რომელმაც მართლაც ლამაზი გოლი გაიტანა — შორეული, მოხდენილი დარტყმით ჩაჭედა კარში ბურთი თბილისელმა. „დილამ" ერთხელაც შეძლო გათანაბრება — ხორგუაშვილს ასისტენტობა ხაჭაპურიძემ გაუწია. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ შეხვედრა „თბილისის" უპირატესობით გაგრძელდა და ტაიმის შუაწელში მაჭავარიანის გატანილ ბურთს ბოლო წუთზე ბურდულმა ერთიც დაამატა — 4:2 და „თბილისი" ფინალში გავიდა.

მესამე ადგილისთვის მატჩში „დინამო" და „დილა" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაშმა თბილისელთა უპირატესობით ჩაიარა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. თუმცა თავიდან გორელებმა მეტოქე გვარიანად ანერვიულეს.

მე-10 წუთზე „დილამ" კარგი კომბინაცია გაათამაშა, რომელიც სულთანიშვილმა ულამაზესი გოლით დააგვირგვინა. ლომიძისგან მიღებული ბურთი კარისკენ ზურგით მდგომმა სულთანიშვილმა ერთი შეხებით, ქუსლით გაიტანა. წონასწორობა სულ მალე შენგელიამ აღადგინა. ამის შემდეგ პირველ ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო გატანა, თუმცა ეს ვერც ერთმა მოახერხა.

მეორე ნახევარი „დინამომ" აქტიურად დაიწყო. განსაკუთრებით გუნდის ახალწვეული დავით დათუაძე გამოირჩეოდა. ექსსიონელი გორელ მცველებს მოსვენებას არ აძლევდა, თანაგუნდელებსაც ზუსტი და დროული პასებით ამარაგებდა. სწორედ მისი კარგი თამაშის წყალობით დაწინაურდა „დინამო". 32-ე წუთზე დათუაძემ სამი გორელი მოატყუა და ბურთი ზაზა ზამთარაძეს დაუგორა, რომელმაც შეუჩერებლივ, უძლიერესად დაარტყა. მდივანმა ვერაფერი გააწყო — 2:1. მერე კი თორნიკე რუხაძემ აიწყვიტა. მან ჯერ დინამოელთა მრავალსვლიანი კომბინაცია დაასრულა ზუსტი დარტყმით და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა, ბოლო წუთზე კი დუბლი შეასრულა. „დინამომაც" საბოლოოდ 4:1 მოიგო. თბილისელებს ბრინჯაოს მედლები და 500 ლარი ხვდათ წილად.

ბოლოს კი ფინალის ჯერიც დადგა. „თბილისი" — „გორდას" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმაც დასდო პატივი თავისი მისვლით. მცირერიცხოვან მაყურებელთა უმეტესობა ამ შეხვედრაში მოგებას რუსთაველებს უწინასწარმეტყველებდა. თუმც მატჩის დებიუტის ნახვის შემდეგ ბევრმა აზრი იცვალა. „თბილისმა" თამაში ძალიან კარგად დაიწყო. პირველივე წუთებზე ნორაკიძემ, ბურდულმა და გონჩაროვმა რეალური მომენტები გააცუდეს. თბილისელები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა გოლი საკუთარ კარში გაუშვეს. ბათიაშვილმა კახა ალადაშვილს საშუალო მანძილიდან დარტყმული ბურთი ვერ აუღო. ამის შემდეგ „გორდამ" თამაში დაალაგა. გია და ვარლამ კილასონიებსაც კარგად წაუვიდათ საქმე და მატჩს ხიბლი შეემატა. მე-20 წუთზე ვარლამ კილასონიამ იმარჯვა და ტურნირზე მეათე გოლი გაიტანა. 2:0-ის შემდეგ „თბილისი" ყველამ გატეხილად ჩათვალა, თუმცა გონჩაროვმა წუთის შემდეგ გატანილი ლამაზი გოლით საპირისპირო დაამტკიცა. მასვე ტაიმის ბოლო წუთზე გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ რუსთაველთა მეკარე გია გონგაძემ პირისპირ გასულს დარტყმა აუღო.

გონჩაროვმა წონასწორობა მაინც აღადგინა — მეორე ტაიმის მეორე წუთზევე ბრწყინვალედ ითამაშა და „გორდას" მეორედ გაუტანა, თამაშსაც მეტი ინტრიგა და დაძაბულობა შესძინა. თუმცა ამის შემდეგ მატჩი კილასონიების ბენეფისად იქცა. ბოლო ოც წუთში მათ რაც მოისურვეს, ყველაფერი გააკეთეს. თბილისელები კი სტატისტებად იქცნენ, არადა, მათ 4:2-ზეც შეეძლოთ მატჩის ხსნა, რადგან ბოლო ათი წუთი „გორდა", ფაქტობრივად, უმეკაროდ თამაშობდა. გონგაძემ ერთ-ერთ ეპიზოდში ხელი ისე იტკინა, მოძრაობაც კი უჭირდა. მეტოქემ ეს ვერ გამოიყენა. ამ ხნის განმავლობაში თბილისელებმა სულ ერთხელ დაარტყეს კარის მიმართულებით, მაშინაც ბურდულმა გონგაძეს გაარტყა ბურთი. იმას, რაც ბოლო წუთებზე „თბილისის" ნახევარზე ხდებოდა, ფეხბურთი აღარ ერქვა. ბათიაშვილის კარში გოლები პუნქტუალურად გადიოდა. პარტნიორებზე განაწყენებულმა მეკარემაც კარის დაცვას თავი მიანება და ცენტრში დადგა. ასეთი დასასრული მიხეილ მესხის სახელობის ტურნირს, ალბათ, არ ეკადრებოდა.

მატჩის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. „გორდას" გარდამავალი თასი თავად ჩოლარიამ გადასცა, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, ტრადიცია გაგრძელებულიყო და ეს მისია მიხეილ მესხის შვილს ან შვილიშვილებს შეესრულებინათ. ეტყობა, მათ საპატიო მიზეზი ჰქონდათ, თორემ სპორტის სასახლეს ერთ დღეს მაინც ეწვეოდნენ. რუსთაველებს თასთან ერთად მედლები და 3000 ლარიც გადაეცათ. ამ თანხის ნახევარი და ვერცხლის მედლები მიიღო „თბილისმა". საუკეთესო ბომბარდირის პრიზი ვარლამ კილასონიას ერგო, რომელმაც 12 გოლი გაიტანა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად კი მისი ძმა გია კილასონია აღიარეს.

**ვანო ოქროპირიძე**
**პაატა ქვანტალიანი**



ტურნირის გამარჯვებული რუსთავის „გორდა"



ტურნირის ბომბარდირმა ვარლამ კილასონიამ მედალი ვაჟს, გიას უსახსოვრა



ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გიორგი კილასონია (მარცხნივ) და თბილისელი ალექსანდრე ჩივაძე

# იბერია: დაგვიბრუნდი, პრეზიდენტო!

სამტრედიის „იბერიის“ მძიმე მდგომარეობაზე ადრეც ვიუწყებოდით. ჩემპიონატის განახლებამდე ბევრიც არ დარჩენილა და იბერიელებს ბედად მიხეილ მესხის სახელობის ტურნირი რომ არ გამოსჩენოდათ, დღემდე ვერ მოახერხებდნენ შეკრებას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უკეთეს რვა გუნდში მოუხვედრელობით სამტრედიელები წლეულს ნამდვილად გამოემშვიდობებოდნენ პირველ ლიგას, რატომ? ამის ახსნა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. გუნდს ელემენტალურად იმის პირობებიც არა აქვს, რომ დიდ ჯიხაიშში ივარჯიშოს. „იბერია“ დატოვეს გუბაზ დოლიძემ, ძმებმა გიგიაძეებმა და ბევრსაც თვალი გაქცევაზე უჭირავთ. რაც მთავარია, ჯერჯერობით არ ჩანს კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლეიშვილიც. მის გამოჩენას ამაოდ ელოდნენ იანვრის ბოლოს. შეშფოთებულია გუნდის მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძეც, მესხის ტურნირზე სამარცხვინო გამოსვლას რომ თავი დავანებოთ, („იბერია“ ორივე შეხვედრაში დამარცხდა, საერთო ანგარიშით 2:13), გუნდს სამომავლო პერსპექტივებიც არ უჩანს, მაგრამ ფრუიძე ხავსს ეჭიდება: „სამი დღის წინ ველაპარაკე ნიკოლეიშვილს, დამამშვიდა, ჩამოვალ და საქმეს მივხედავო. ჩემი ინფორმაციით, გუნდის წამყვანი მოთამაშეები საზღვარგარეთ არიან. თუ საშუალება მოგვეცა, მათ დავიბრუნებთ. ვფიქრობ, ნიკოლეიშვილის დაბრუნების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა“.

ჩვენც რა დაგვრჩენია, დაველოდოთ ბატონ ნუგზარს, როგორც ამბობენ მის დაბრუნებამდე ორი-სამი დღეა დარჩენილი.

**პაატა ქვანტალიანი**



ბაჩო კორინთელის ფოტო

ნუგზარ ნიკოლეიშვილი

# ფოთი-სამსუნი-ნესებრი

## მგზავრობით გათანგულებს კომფორტი ეამათ

ქუთაისის „ტორპედოსა“ და „ბათუმის“ მსგავსად, ფოთის „კოლხეთმაც“ უცხოეთში მომზადება არჩია. გეხსომებათ კოლხთა ვიცე-პრეზიდენტის, თენგიზ ქოიავას ნათქვამი, თებერვლის დასაწყისში გუნდი ჩვეულ ადგილს, ბულგარულ ნესებრში გაემგზავრება და იქ გაივლის მზადებას ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვისო.

ასეც მოხდა. ორშაბათ ღამით გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ 23 ფეხბურთელი ავტობუსში ჩასხა და თურქეთის გავლით „კოლხეთმა“ გეზი ბულგარეთისკენ აიღო.

გუშინწინ, როდესაც ნესებრში, სასტუმრო „გორუბსოში“ დავრეკეთ, პორტიემ მომხიბლავი ხმით გვითხრა, თქვენ კი არა, ჩვენც რა ხანია, ველით ქართველ ფეხბურთელებს, რატომღაც იგვიანებენო.

გუშინ საღამოს კი უკვე გვახარეს, ჩამოვიდნენო და ჩვენც „კოლხეთის“ მთავარ მწვრთნელ გია ტყებუჩავას გავესაუბრეთ.

...ამ დილით, დაახლოებით შვიდის ნახევარზე ჩამოვედით. გზაში, სამსუნში, ავტობუსი გაგვიფუჭდა. ძალიან დაგვღალა მგზავრობამ. ბიჭებს ახლაც სძინავთ, მხოლოდ ისადილეს და ისევ მკვდარი საათი გამოვაცხადე. მერე კი პირველ ვარჯიშსაც ჩავატარებთ.

...რაც შეეხება მათ ვინაობას, ვინც აქ არიან, გეტყვით. მეკარეები: მამუკა გვასალია და ზურაბ ქვაჩახია; მცველები: ვალერი ტორჩინავა, კახაბერ გოროზია, გოგიტა ქუნთელია, ელგუჯა პაპავა, ჯონი შალამბერიძე, მიხეილ ქობულაძე, ლევან ანჯაფარიძე, ამირან კედელაშვილი, გიორგი ჩიტაია, მამუკა ჯღარკავა და დავით ჯღამაძე; ნახევარმცველები: თამაზ კიკლიაშვილი, ზაველ ლალანიძე, გელა ფანჩულიძე, ზაზა ბურკაძე, დავით კვირკველია, რომელიც ჩვენი ფარმ-კლუბიდან ავიყვანეთ და შალვა ჩხენკელი; თავდამსხმელები კი ლევან შავგულიძე, ელდარ გვასალია, დავით ხუჭუა და გიორგი კრასოვსკი არიან.

...აქ ჩამოსვლის ძირითადი მიზეზი რაც შეიძლება ბევრი ამხანაგური მატჩის გამართვაა. პირველ შეხვედრას 7 თებერვალს ჩავატარებთ უკრაინის „ალექსანდრიასთან“. წინა დღეს ჩამოვა უკრაინული ალჩევსკის „სტალი“, 7-ში კი — დონეცკის „შახტარი“. შევეცდებით, ორივეს გავეჯიბროთ. გარდა ამისა, აქ ბულგარეთის უმაღლესი ლიგის სამი გუნდია, ამ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებიც აქ ემზადება. ხომ გითხარით, რაც შეიძლება ბევრი ამხანაგური-საკონტროლო მატჩი უნდა ვითამაშოთ, რათა გუნდი სურვილისამებრ დავაკომპლექტოთ.

...აქ უკვე მეორედ ვართ. მასპინძლები კომფორტით გვანებივრებენ, ყოველგვარ პირობას გვიქმნიან საიმისოდ, რომ სეზონისთვის ნაყოფიერად მოვემზადოთ. პირველი მატჩი კი, როგორც უკვე გითხარით, 7-ში გვაქვს „ალექსანდრიასთან“.

**გიორგი ვაშაკიძე**



ბაჩო კორინთელის ფოტო

გია ტყებუჩავა

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოზმეთეპსპორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, ოქსილი (ყაზახეთი) 0:0 |
| დინამო<br>*თთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა) | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე , ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ პავლოდარი (ყაზახეთი) 5:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია (კოლხეთი 2) | |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნ[illegible]ელე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1 |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კუტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:3 |
| დილა<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოღაშვილი, შატაკიშვილი (ლადა-ტოლიატი ვაზ, რუსეთი) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი) | ხალიბი 4:3, 3:2 |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი, გ. ილურიძე (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0 |
| თბილისი<br>*რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი<br>*უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| არსენალი<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**




სტრასბური — ლიონი 4:2. სტრასბურელი პასკალ სიმონსენი (№25) და ლიონელი დავიდ ლინარესი ბურთისთვის ბრძოლაში წაბორძიკდნენ

## საფრანგეთი

XXIV ტური

**მონაკო 1:0 პსჟ**
1:0 ტრეზეგე (86)

**ოსერი 1:0 ბორდო**
1:0 გივარში (84)

**მარსელი 1:1 რენი**
1:0 პუჟე (24), 1:1 ნონდა (87)

**ნანსი 1:2 ტრუა**
1:0 ზე ალსინო (28), 1:1 ჯუკიჩი (43პ), 1:2 მანდი (69)

**სენტ ეტიენი 0:2 ლანსი**
0:1 საკო (9), 0:2 მორეირა (90)

**სედანი 2:1 მონპელიე**
1:0, 2:0 დი როკო (13, 3), 2:1 მაულიდა (82პ)

**სტრასბური 4:2 ლიონი**
1:0 ლუინდულა (33), 2:0 ლავილი (47ს.კ.), 3:0, 4:0 ლუინდულა (68, 76), 4:1 ანდერსონი (79), 4:2 კანუტე (80)

**ნანტი 1:3 მეცი**
0:1 საა (9), 1:1 და როშა (42), 1:2 ბატიკლი (45), 1:3 კარიერი (67ს.კ.)

**ლე ავრი 2:2 ბასტია**
1:0 ბეზელენი (19), 1:1 ჟურიეტი (31), 2:1 გრაჭელენი (46), 2:2 ლორანი (68)

მიმდინარე სეზონში ჩემპიონობის ამბიციით აღსავსე „ლიონი" ერთ-ერთ აუტსაიდერ. „სტრასბურთან" დამარცხდა სტუმრად 4:2 და სანატრელი ტიტულის მოპოვება თითქმის აუხდენელ ოცნებად ექცა. გათამაშების ლიდერ „მონაკოს" იგი უკვე 13 ქულით ჩამორჩა და დარჩენილ 10 ტურში ალბათ ვეღარ დაეწევა.

ლიონელთა ფიასკო და სტრასბურელთა ტრიუმფი 20 წლის ფორვარდ პეგი ლუინდულას სახელს უკავშირდება. ამ ახალგაზრდა ყმაწვილმა შეხვედრაში ჰეთ თრიქი შეასრულა და მატჩის უდავო გმირიც გახდა. რაც ნამდვილად არ ითქმის „ლიონის" ცენტრალურ მცველ ფლორიან ლავილზე, რომელმაც შეხვედრის მანძილზე რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა.

33-ე წუთზე მცველმა თავისი კარის მიმართულებით უხეირო პასი დააბრუნა. შეცდომით ლუინდულამ ისარგებლა, გადაცემა ჩაჭრა და მეკარე გრეგორი კუპეს პირველი გოლი გაუტანა.

მეორე ტაიმის მეორე წუთზე მცველმა ავტოგოლიც მიითვალა. სტრასბურელ ჰაბიბ ბეიეს გარღვევის შემდეგ ჩაწოდებული ბურთს თავი შეუშვირა და საკუთარ კარში შეაგდო.

ამის შემდეგ, 68-ე და 76-ე წუთებზე ლუინდულამ კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი და ჰეთ თრიქიც მიითვალა. 79-ე და მე-80 წუთებზე სონი ანდერსონისა და ფრედერიკ კანუტეს გოლები რომ არა, ლიონელები მშრალი ანგარიშით დამარცხდებოდნენ. მაგრამ მატჩის ბოლოს გააქტიურებამ სტუმრებს ვერ უშველა, 4:2 დამარცხდნენ.

მიღწეული წარმატებით „სტრასბურმა" სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა და ცხრილის ფსკერიდან ოდნავ ზევით აინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ეს სტრასბურელთა ზედიზედ მეორე გამარჯვება გახლდათ. გასულ შაბათს ქვეყნის თასის გათამაშებაში მათ მრისხანე „მონაკო" დაამარცხეს 3:2.

„ლიონმა" კი ჩემპიონობის იმედი ალბათ საბოლოოდ დაკარგა. როგორც მოგახსენებთ, გუნდი ამჟამად მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „მონაკოსთან" მთელი 13 ქულა აშორებს.

მორიგ ტურში გამარჯვება ვერც მარსელის „ოლიმპიკმა" იზეიმა, თუმცა, „ლიონისგან" განსხვავებით, „რენთან" საშინაო შეხვედრაში ქულა მაინც მოიპოვა. 29-ე წუთზე „ველოდრომის" სტადიონზე სირილ პუჟეს მიერ გატანილი გოლის წყალობით „მარსელს" თითქოს გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ შეცვლაზე შესული შაბანი ნონდასგან მატჩის მიწურულს გოლი გაუშვა და ორი ქულა დაკარგა.

სტადიონზე დამსწრე გულშემატკივარს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ გოლის გატანის შემდეგ „მარსელმა" აშკარად ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც.

„ოლიმპიკის" მთავარმა მწვრთნელმა, ბერნარ კაზონიმ ამის შესახებ მატჩის შემდეგ განაცხადა: „პირველ ტაიმში რთული ამოცანა შევასრულეთ, როცა მეტოქეს გოლი გავუტანეთ. მეორეში ანგარიშის გაზრდა გვსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და მატჩის მიწურულს დავისაჯეთ, შედეგად მეტად საჭირო ორი ქულა დავკარგეთ".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 24 | 16 | 4 | 4 | 50:20 | 52 |
| ოსერი | 24 | 12 | 6 | 6 | 29:23 | 42 |
| პსჟ | 24 | 12 | 5 | 7 | 37:28 | 41 |
| ლიონი | 24 | 11 | 6 | 7 | 30:27 | 39 |
| სედანი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:33 | 35 |
| მარსელი | 24 | 7 | 11 | 6 | 30:27 | 32 |
| ბორდო | 24 | 8 | 8 | 8 | 34:34 | 32 |
| მეცი | 24 | 6 | 13 | 5 | 29:25 | 31 |
| ბასტია | 24 | 7 | 10 | 7 | 28:26 | 31 |
| რენი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:31 | 31 |
| სენტ ეტიენი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:34 | 30 |
| ლანსი | 24 | 8 | 6 | 10 | 24:27 | 30 |
| სტრასბური | 24 | 8 | 6 | 10 | 29:36 | 30 |
| ნანსი | 24 | 8 | 5 | 11 | 29:31 | 29 |
| ტრუა | 24 | 9 | 2 | 13 | 26:40 | 29 |
| ნანტი | 24 | 8 | 4 | 12 | 26:30 | 28 |
| ლე ავრი | 24 | 7 | 6 | 11 | 23:37 | 27 |
| მონპელიე | 24 | 5 | 6 | 13 | 25:34 | 21 |

### მეორე დივიზიონი

25-ე ტური. ლილი — ტულუზი 2:0; ლორიანი — ლე მანი 0:0; ვალანსი — კაენი 0:0; კანი — კრეტეი 1:0; ლავალი — აიაჩო 1:0; ამიენი — ლუანი 1:1; გენგამი — შატორუ 3:2; სოშო — ვასკეალი 2:1; ნიმი — ნიცა 1:1; გენიონი — ნიორი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 25 | 19 | 3 | 3 | 37:13 | 60 |
| ტულუზი | 25 | 13 | 6 | 6 | 39:17 | 45 |
| გენგამი | 25 | 12 | 7 | 6 | 45:32 | 43 |
| კაენი | 25 | 9 | 13 | 3 | 31:17 | 40 |
| ლე მანი | 25 | 10 | 10 | 5 | 32:25 | 40 |
| ლავალი | 25 | 9 | 10 | 6 | 28:24 | 37 |
| ნიმი | 25 | 9 | 8 | 8 | 31:28 | 35 |
| აიაჩო | 25 | 10 | 4 | 11 | 24:27 | 34 |
| გენიონი | 25 | 7 | 12 | 6 | 29:24 | 33 |
| სოშო | 25 | 9 | 6 | 10 | 28:30 | 33 |
| კანი | 25 | 8 | 8 | 9 | 20:23 | 32 |
| კრეტეი | 25 | 8 | 7 | 10 | 24:29 | 31 |
| ნიცა | 25 | 5 | 15 | 5 | 18:22 | 30 |
| ლორიანი | 25 | 8 | 6 | 11 | 21:26 | 30 |
| ნიორი | 25 | 5 | 12 | 8 | 22:29 | 27 |
| შატორუ | 25 | 6 | 9 | 10 | 22:31 | 27 |
| ამიენი | 25 | 4 | 13 | 8 | 20:26 | 25 |
| ვასკეალი | 25 | 4 | 11 | 10 | 17:26 | 23 |
| ლუანი | 25 | 4 | 7 | 14 | 21:43 | 19 |
| ვალანსი | 25 | 2 | 11 | 12 | 21:38 | 17 |

## გერმანია

# გერმანელებმა გამოიღვიძეს

## დღეს ბუნდესლიგაში მეორე წრე იწყება

გერმანულ ბუნდესლიგაში არდადეგები მთავრდება. დღეს „დორტმუნდი" — „კაიზერსლაუტერნისა" და „ჰანზა" — „ჰერტას" მატჩებით მეორე წრე გაიხსნება. საერთოდ, ბუნდესლიგის ჩემპიონატში მეორე წრე, როგორც წესი, თებერვლის მეორე ნახევარში იწყება, თუმცა წლეულს სხვაგვარადაა. ივნისში გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში ელის, ქვეყნის საფეხბურთო კავშირმაც ეროვნული გუნდის უკეთ მომზადების მიზნით ჩემპიონატის ჩვეულებრივზე ადრე დასრულება გადაწყვიტა. ამიტომ წრეებს შორის შესვენების შემცირება გახდა საჭირო.

პირველი წრის შემდეგ ცხრილის სათავეში მიუნხენის „ბაიერნია", რომელიც „ლევერკუზენს" ორი ქულით უსწრებს. კიდევ ერთი კლუბი, რომელსაც ამ გუნდების საჩემპიონო ბრძოლაში ჩართვა ძალუძს, „ჰამბურგია", თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, ჰამბურგელებმა ეს მოახერხონ.

სეზონის დაწყებამდე ჩემპიონობის კანდიდატთა შორის დღევანდელ მეტოქეებს — „დორტმუნდსა" და „კაიზერსლაუტერნსაც" მოიხსენიებდნენ. თუმცა მიხაელ სკიბესა და ოტო რეჰაგელის გუნდებმა ძალიან ბევრი ქულა გაატანეს ქარს. ეს განსაკუთრებით „ლაუტერნზე" ითქმის, რომელსაც ძალიან ცუდი სტარტი ჰქონდა. თუმცა მოგვიანებით რეჰაგელმა კლუბის კრიზისიდან გამოყვანა შეძლო.

„დორტმუნდი" — „კაიზერსლაუტერნის" დღევანდელ მატჩს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მარცხის შემთხვევაში სტუმრები ოთხეულში, ანუ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსს, ალბათ, საბოლოოდ დაკარგავენ. სამაგიეროდ, მასპინძლები განიმტკიცებენ მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ორივე გუნდი მნიშვნელოვანი დანაკლისით გავა მინდორზე. მასპინძლები ადოს, მიოლერის, იკპებას, ფაიერზინგერის, ტანკოსა და სტევიჩის გარეშე ითამაშებენ. რეჰაგელს კი ბასლერი, როოსი, რამზი, სფორცა, ბუკი და მეკარე რაინკე არ ეყოლება. ერთი სიტყვით, პრობლემები არც ერთ გუნდს აკლია.

მეორე შეხვედრას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. როსტოკის „ჰანზას" და ბერლინის „ჰერტას" წლეულს სერიოზული წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. „ჰანზას" დიდი ამოცანები არც არასოდეს დაუსახავს. აი, „ჰერტასგან" კი ისეთი სუსტი თამაში, როგორიც ბერლინელებმა შემოდგომაზე აჩვენეს, ძალიან გასაკვირია. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობდა.

სრული შემადგენლობით ვერც ამ მატჩში დაუპირისპირდებიან მეტოქეები ერთმანეთს. დაშავებულები ორივეს საკმაოდ ჰყავს.

დანარჩენი კლუბები ჩემპიონატს ამ უქმეებზე განაახლებენ.

**ვანო ოქროპირიძე**

### მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 17 | 11 | 3 | 3 | 33:13 | 36 |
| ლევერკუზენი | 17 | 9 | 7 | 1 | 29:18 | 34 |
| ჰამბურგი | 17 | 8 | 7 | 2 | 39:19 | 31 |
| მიუნხენი | 17 | 8 | 5 | 4 | 28:21 | 29 |
| დორტმუნდი | 17 | 7 | 7 | 3 | 24:13 | 28 |
| შტუტგარტი | 17 | 8 | 3 | 6 | 21:19 | 27 |
| ვერდერი | 17 | 7 | 5 | 5 | 34:24 | 26 |
| ლაუტერნი | 17 | 7 | 2 | 8 | 21:30 | 23 |
| ჰერტა | 17 | 5 | 7 | 5 | 22:28 | 22 |
| შალკე | 17 | 4 | 9 | 4 | 21:20 | 21 |
| ვოლფსბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 22:30 | 21 |
| ფრაიბურგი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:23 | 20 |
| უნტერჰახინგი | 17 | 5 | 5 | 7 | 18:20 | 20 |
| ჰანზა | 17 | 5 | 5 | 7 | 23:35 | 20 |
| ულმი | 17 | 5 | 4 | 8 | 19:25 | 19 |
| დუისბურგი | 17 | 2 | 7 | 8 | 18:30 | 13 |
| აინტრახტი | 17 | 3 | 2 | 12 | 17:27 | 11 |
| არმინია | 17 | 2 | 5 | 10 | 13:31 | 11 |

ფეხბურთის



**ინგლისურ** „სანდერლენდს" იტალიის სერია A-ში მოასპარეზე „ბოლონიადან" ორი მცველის, 29 წლის მასიმო პაგანინის და 27 წლის ნიკოლა ბოზელის შეძენა სურს. პაგანინი ერთობ გამოცდილი ფეხბურთელია. ერთხანს იგი მილანის „ინტერს" კაპიტნობდა, შემდეგ კი „ბოლონიაში" გადაბარგდა. ფეხბურთელის გადაბირებას გასული წლის შემოდგომაზე ინგლისური „მიდლსბროც" ცდილობდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. აღსანიშნავია, რომ პაგანინის კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. „სანდერლენდი" „ბოლონიასთან" მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და რამდენიმე დღეში ალბათ, მიზანსაც მიაღწევს.

**იტალიური „რომა" არგენტინელ თავდამსხმელ გუსტავო ბარტელტს უახლოეს დღეებში ალბათ, „ასტონ ვილაში" გაყიდის. „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელი „რომას" ყოფილმა თავკაცმა ზდენეკ ზემანმა 1998 წლის ზაფხულში გადაიბირა, მაგრამ ბარტელტმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ხანდახან შეცვლებზე თუ გამოჩნდებოდა. რომაულ გუნდში ფაბიო კაპელოს მისვლის შემდეგ კი სათადარიგოთა შორისაც ვეღარ ხვდება. არგენტინელის შეძენის სურვილი ბირმინგემის „ასტონ ვილამ" გამოთქვა და ყაბულსაა, 1 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.**

**კოლუმბიის** ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხავიერ ალვარესი თანამდებობიდან დაითხოვა. კოლუმბიელები რამდენიმე დღის წინ ოლიმპიადის შესარჩევ შეხვედრაში ბრაზილიელებთან განადგურდნენ 0:9. ამგვარი მარცხი კი კოლუმბიური ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს. უთავკაცოდ დარჩენილ ნაკრებს 28 მარტს მსოფლიოს 2002 წლის შესარჩევი ციკლის შეხვედრა ელის. მათი მეტოქე ისევ ბრაზილიის ნაკრები იქნება. ახალ მთავარ მწვრთნელს ალბათ, უახლოეს დღეებში აირჩევენ.

**ინგლისური „ტოტენჰემის" ფორვარდი ნიკოლა ბერტი თავისუფალი აგენტის სტატუსით ავსტრალიურ „ბრისბენში" გადაბარგდა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი იტალიის ნაკრების წევრი ბერტი „ტოტენჰემს" მილანის „ინტერიდან" 1998 წელს შეუერთდა. ლონდონური კლუბის იმჟამინდელმა თავკაცმა იგი გუნდიდან გერმანელი იურგენ კლინსმანის წასვლის შემდეგ შეიძინა.**

**იტალიურმა** სპორტულმა ჟურნალმა „გუერინ სპორტივომ" საკმაოდ საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა. „არიან თუ არა იტალიელი მსაჯები კორუმპირებულნი". აღმოჩნდა, რომ ყოველ მეორე იტალიელ გულშემატკივარს არბიტრთა პატიოსნებაში ეჭვი უპარება. გამოკითხულთა 50-მა პროცენტმა კითხვას დადებითად უპასუხა, 41 პროცენტი მიიჩნევს, რომ არბიტრები უმეტეს შემთხვევაში ფავორიტ გუნდებს ემხრობიან, ხოლო აბსოლუტური მიუკერძოებლობის მხოლოდ 4 პროცენტს სჯერა. მსაჯებთან დაკავშირებით ამ ცოტა ხნის წინ იტალიაში საკმაოდ გახმაურებული ფაქტი მოხდა. იანვრის თვეში საფეხბურთო კლუბმა „რომამ" რამდენიმე მსაჯს ახალი წლის აღსანიშნავი საჩუქარი 13 ათას დოლარიანი ოქროს „როლექსის" საათები უსახსოვრა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ეს მიკერძოების ფაქტად ჩათვალა და არბიტრებს ძვირფასი საჩუქრები დააბრუნებინა.

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შესაძლოა უახლოეს მომავალში, პრემიერლიგაში არაევროკავშირელ ფეხბურთელთა ასპარეზობის საკითხი განიხილოს. „გუნდებისთვის წარმოშობით არაევროკავშირელი ფეხბურთელის შეძენის ლიმიტის დაწესება, ალბათ, კარგ შედეგს მოიტანს და ადგილობრივი, ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის წარმოჩენას შეუწყობს ხელს" — იუწყება ფეხბურთის ასოციაცია. მათმა წარმომადგენელმა ერთი საინტერესო მაგალითიც მოიყვანა. ახალი წლის შემდეგ „ჩელსისა" და „საუთჰემპტონს" შორის გამართულ შეხვედრაში ლონდონური კლუბის სასტარტო შემადგენლობაში არც ერთი ინგლისელი ფეხბურთელი არ ირიცხებოდა. „ამას შესაბამისი რეაგირება სჭირდება" — განაცხადა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.**

**გერმანელი** ნახევარმცველი მარტინ ვაგნერი სეზონის ბოლოს „კაიზერსლაუტერნს" დატოვებს. მას კონტრაქტის ვადა ეწურება. ვაგნერს ახალი კლუბიც შერჩეული აქვს. 31 წლის ფეხბურთელი, ვისაც ეროვნულ ნაკრებში ექვსი მატჩი ჩაუტარებია, მომდევნო ორი წელი „ვოლფსბურგის" ღირსებას დაიცავს.

**გერმანელ „ლევერკუზენში" მოთამაშე ბრაზილიელ ნახევარმცველ ემერსონს შეძენის მსურველთა რიგი დაუდგა. კრისტოფ დაუმის განცხადებით, იტალიური „რომა" მზად არის, ფეხბურთელში 35 მილიონი მარკა გადაიხადოს. თუმცა გერმანელები ემერსონის გაყიდვას არ ჩქარობენ. იმავე დაუმს უთქვამს, რამდენიმე კლუბი ბრაზილიელში 50 მილიონსაც გვთავაზობს და რომაელთა წინადადება მომხიბვლელი სულაც არ არის. კონტრაქტის მიხედვით, ემერსონი ჩვენთან 2002 წლამდე უნდა იყოს, ამიტომ მოცდას ვამჯობინებთო.**

# ანელკა ბარსელონას წინააღმდეგ

მადრიდის „რეალში" გადასვლის შემდეგ ნიკოლა ანელკა კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მიზეზი გასაგებია. თავდამსხმელს, რომელშიც 35 მილიონ დოლარს გადაიხდიან, ბევრი გოლი უნდა გაჰქონდეს. ანელკა ამას ვერ ახერხებდა. ყოფილი არსენალელი ამბობს: „ახალ კლუბთან ადაპტაცია მიჭირს. თავის დროზე „არსენალშიც" იგივე პრობლემა მქონდა. ლონდონიდან წასვლის შემდეგ ჩემს პოზიციაზე ტიერი ანრი თამაშობს. ჩვენ ერთნაირი სტილის ფეხბურთელები ვართ, ამიტომ ტიერის ჩემი შეცვლა არ გასჭირვებია. მე კი „რეალში" დავორ შუკერის ნაცვლად მოვედი, ვინაც სხვაგვარ ფეხბურთს თამაშობს და თანაგუნდელებთან შეგუება გამიჭირდა".

ბრაზილიაში ახლახან დასრულებული მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი მადრიდელთათვის წარუმატებელი გამოდგა, რასაც ანელკაზე ვერ ვიტყვით — მან გოლების გატანა დაიწყო. თუმც, ალბათ, ბედის ირონიით, მუხლის ტრავმა მიიღო და ფეხბურთს დროებით ჩამოშორდა. მრავალგვარი პროგნოზი კეთდებოდა. ექიმები ამბობდნენ, ფრანგი სერიოზულად არის დაშავებული და მინიმუმ სამ თვეს ვერ ითამაშებსო. ისინი შეცდნენ. ანელკამ ვარჯიში განაახლა და დიდი ბრძოლისთვის ემზადება — 27 თებერვალს „რეალი" „ბარსელონას" ხვდება. თავად ფეხბურთელი მომხდარს ფილოსოფიურად განსჯის: „თუ უნდა დავშავებულიყავი, კარგია, რომ ეს იანვრის პირველ რიცხვებში მოხდა. წარმოიდგინეთ, ტრავმა ახლა რომ მიმეღო. პრიმერა დივიზიონის უპრინციპულეს შეხვედრებს გამოვაკლდებოდი".

აქვე დავძენთ, რომ ესპანეთის პირველობის გარდა „რეალი" ჩემპიონთა ლიგაშიც განაგრძობს ბრძოლას, ხოლო ნიკოლა ანელკას საფრანგეთის ნაკრების რიგებში ევროპის ჩემპიონატზეც მოუწევს გამოსვლა.

GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

III ტური

## B ჯგუფი

### სამხრეთ აფრიკა 1:1 ალჟირი

1:0 ბარტლეტი (2), 1:1 მუსუნი (52)

სამხრეთ აფრიკა: ვონკი, რადებე, ფიში, ისა, ტინკლერი (კუმანე 60), ნგობე, მკალელე, მგუმნი (ბაპელა 46), ფორჩუნი (ლეკოელა 46), ბარტლეტი, სალმონი

ალჟირი: ბენაბდელახი, მამუნი, ბენჰამლატი, არმუში, მეფტაჰი, კრაუში, ჯირი, საიბი, ჯაზი, ტასფაუ, მუსუნი (ჰადუ 57)

### გაბონი 0:0 კონგოს დრ

გაბონი: მენდომე, მუიუმა, მუიე ნგუემა, ნსი-აკუე, მუბამბა, მომბო, ოგანდაგა (ოსეი 67), მბანანგოიე, ლონდო (კუსინი 79), ნზუე ნგუემა, ნჟიგუ

კონგოს დრ: მაიალა, კასონგო, იუვულადიო (ბაგეტა 83), ბაკასუ, დინზი, მუკანდო, მანგიტუკა, ბაზამბა, კიფუ, იემვენი (ნსილულუ 72), ბანზა (მბუნგუ 59)

გაძევება: კასონგო (63)

ჯგუფური ეტაპი კიდევ ოთხმა გუნდმა ჩაამთავრა და ორი მეოთხედფინალური წყვილის ვინაობაც გაირკვა. კვირას აკრაში ალჟირი და კამერუნი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. იმავე დღეს კუმასიში განა სამხრეთ აფრიკას შეხვდება.

B ჯგუფიდან გამსვლელი მეორე გუნდი ალჟირი ან კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო. სამხრეთ აფრიკას მეოთხედფინალის საგზური ადრევე მოეპოვებინა, ხოლო გაბონელები იმასღა ეცდებოდნენ, ტურნირი უქულოდ არ დაეტოვებინათ.

ტურის ცენტრალური მატჩი ალჟირის და სამხრეთ აფრიკის შეხვედრა იყო. მის შედეგს იმავდროულად გამართული მეორე თამაშის ფორმალობად ქცევა შეეძლო. ასეც მოხდა. მაყურებლებს ტრიბუნებზე ადგილების დაკავება ხეირიანად ვერც მოესწროთ, როდესაც დუმისა ნგობეს პასით შონ ბარტლეტმა ანგარიში გახსნა. ბარტლეტს ტურნირზე უკვე ოთხი ბურთი აქვს შეგდებული და ბომბარდირთა დავაშიც ლიდერობს, ხოლო სანაკრებო კარიერაში ეს მისი მე-16 გოლი აღმოჩნდა. ამ მაჩვენებლით ის ფილ მასინგას დაეწია, ვინც აქამდე სამხრეთაფრიკელთა საუკეთესო გოლეადორი იყო და განა-ნიგერიაში ჩასვლა ტრავმის გამო ვერ შეძლო.

სამხრეთაფრიკელებს ჯგუფიდან გასვლა წაგების შემთხვევაშიც განაღდებული ჰქონდათ და არ ნერვიულობდნენ. ბარტლეტის სწრაფმა გოლმა ისინი კიდევ უფრო დაამშვიდა. იგივეს ვერ ვიტყვით ალჟირელებზე. ცხადია, ისინი იმის იმედად ვერ იქნებოდნენ, რომ კონგოს საკმაოდ ძლიერი ნაკრები უსუსტეს გაბონს ვერ დაამარცხებდა, ამიტომ თუნდაც ერთი ქულა ჰაერივით სჭირდებოდათ. „უდაბნოს მელიები“ გააფთრებით უტევდნენ, გოლი კი არ ჩანდა. ერთ მომენტში ეთიოპიელმა არბიტრმა ტესემა ჰაილემალიკმაც შესცოდა. სამხრეთელთა მეკარე ჰანს ვონკმა საჯარიმოში შეჭრილი ბილელ ჯირი დასცა. მსაჯმა წესების დარღვევა ვერ შენიშნა და პენალტი არ დაინიშნა. ამ ეპიზოდმა ალჟირელები უფრო მობილიზებულნი გახადა და 52-ე წუთზე ფაუზი მუსუნიმ ახლო მანძილიდან ნანატრი ბურთი შეაგდო. მატჩის ბოლომდე დარჩენილ 38 წუთში ყველაზე მეტად სტადიონზე შეკრებილი მაყურებლები აქტიურობდნენ. ისინი ერთმანეთს სტვენაში ეჯიბრებოდნენ და მართალიც იყვნენ. მინდორზე განვითარებულ ამბებს ბურთის გორაობა უფრო ეთქმოდა. ფეხბურთელებსაც არ გაემტყუნება. ასეთი შედეგი ორივე გუნდისთვის (მეტადრე ალჟირელთათვის) მისაღები იყო და ზედმეტად ენერგიის ხარჯვა და თავის ატკივება არავის სურდა. მატჩიც 1:1 დასრულდა და ნაკრებებმაც მოედანი კმაყოფილებმა დატოვეს. მეორე ტაიმში ულიმლამო თამაში ალჟირელთა მწვრთნელმა ნასარ სანჯაკმა ასე ახსნა: „თავიდანვე მატჩის ფრედ დასრულება დავგეგმეთ, რასაც მივაღწიეთ კიდეც“.

როგორც ზემოთ ვთქვით, ამ ანგარიშმა გაბონი-კონგოს მატჩი ფორმალობად აქცია. თუმცა ორივე შეხვედრა ერთდროულად მიმდინარეობდა და კონგოელებს ეს წინასწარ საიდან ეცოდინებოდათ. ალჟირელთა მარცხის შემთხვევაში კონგოელი „ლეოპარდები“ სამბურთიანი სხვაობით მოგებას გაჰყავდა მეოთხედფინალში. შეხვედრას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, ტრიბუნებზე ხუთასიოდე კაცი ძლივს შეიკრიბა. ისინი კონგოელთა იოლ გამარჯვებას ელოდნენ, რასაც ძალთა შეფარდებით ხსნიდნენ. 1990 წლიდან მოყოლებული, კონგოელები მეოთხედფინალს მიღმა არ დარჩენილან, ხოლო თასის წინა გათამაშებაზე სულაც მესამენი გახდნენ. ერთიც იყო, „ლეოპარდებს“ ორი თამაშის შემდეგ გოლი არ გაუტანიათ და ნავსი ხომ უნდა გაეტეხათ. გაბონელებზე კი, რომლებიც თავიდანვე აუტსაიდერებად იყვნენ მიჩნეულნი, ბევრს ვერაფერს ვიტყვით. მათ აფრიკის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპს მხოლოდ მესამედ მიაღწიეს.

პირველი ტაიმი კონგოელთა უპირატესობით წარიმართა. მაგრამ მათ შეტევებს დახვეწა აკლდა და გაბონელთა კართან ასპროცენტიანი საგოლე მომენტები არ შექმნილა. უგოლო 45 წუთის შემდეგ კონგოელებს ნერვიულობა დაეტყოთ. სამბურთიან უპირატესობას ვინ ვიჩის, ერთი გოლიც სანატრელი გაუხდათ. გაბონელებმა ეს ყველაფერი სწორად გათვალეს და მეტოქის კონტრიერიშზე გამოჭერას შეეცადნენ. ამგვარმა ტაქტიკამ გუნდებს როლები შეუცვალა და კონგოელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტიც შეიქმნა. „ლეოპარდებმა“ შეცდომების დაშვებას უხშირეს. 63-ე წუთზე გაბონელთა ამომავალი ვარსკვლავი, 16 წლის შივა ნჟიგუ მეკარესთან პირისპირ გადიოდა. აქ მას კონგოელთა კაპიტანი კაბევე კასონგო გადაეღობა და წააქცია. მსაჯმა უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის კასონგო მოედნიდან გააძევა. მეტად აქტიური იყო გაბონელი თავდამსხმელი ტეოდორ ნზუე ნგუემაც. მას ზედიზედ ხუთი საუკეთესო შანსი მიეცა, მაგრამ ორჯერ კარს მცირედით ააცილა, ერთხელ ბურთი კონგოელთა მეკარის, ნკენი მაიალას ლუკმა გახდა, ორჯერაც მცველმა ესელ ბაკასუმ შეუშალა ხელი.

მატჩი უგოლოდ დასრულდა. კონგო, ბოლო ათ წელიწადში პირველად, მეოთხედფინალს მიღმა დარჩა. გაბონთან ვერმოგებული შეხვედრის შემდეგ კონგოელებს იმითღა შეუძლიათ ინუგეშონ თავი, რომ ალჟირელთა მოპოვებული ქულა მათ მეორე ადგილისკენ მიმავალ გზას გამარჯვების შემთხვევაშიც ულობავდა.

**გიორგი დარჯანია**



სამხრეთ აფრიკა — ალჟირი 1:1. ალჟირელი აბდელაზიზ ბენჰამლატის დარტყმულმა სამხრეთაფრიკელი სტივ ლეკოელა (მარცხნივ) დააფრთხო

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. აფრიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ალჟირი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| კონგოს დრ | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 |
| გაბონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

*მეოთხედფინალში გავიდნენ სამხრეთ აფრიკა და ალჟირი*

---

EURO 2000

*წუხელ უეფამ დაადგინა იმ 30 არბიტრის ვინაობა, რომლებიც კიდევ ჯერჯერობით 17 უცნობ „შავოსანთან“ ერთად 13-დან 15 თებერვლის ჩათვლით მალტაში გაივლიან მზადებას ევრო 2000-ის ფინალური ტურნირისთვის.*

| | |
|---|---|
| გიუნტერ ბენკო | ავსტრია |
| მიშელ პირო | ბელგია |
| კიმ მილტონ ნილსენი | დანია |
| გრეჰემ ბარბერი | ინგლისი |
| პოლ დარკინი | ინგლისი |
| გრეჰემ პოლი | ინგლისი |
| კლოდ კოლომბო | საფრანგეთი |
| ალან სარსი | საფრანგეთი |
| ჟილ ვესიე | საფრანგეთი |
| ჰელმუტ კრუგი | გერმანია |
| მარკუს მერკი | გერმანია |
| ჰარტმუტ შტრამპე | გერმანია |
| სტეფანო ბრაში | იტალია |
| გრაციანო ჩეზარი | იტალია |
| პიერლუიჯი კოლინა | იტალია |
| დიკ იოლი | ჰოლანდია |
| მარიო ვან დერ ენდე | ჰოლანდია |
| იან ვეგერეფი | ჰოლანდია |
| რუნე პედერსენი | დანია |
| რიჩარდ ვოიჩიკი | პოლონეთი |
| ვიტორ მანუელ მელო პერეირა | პორტუგალია |
| ნიკოლაი ლევნიკოვი | რუსეთი |
| ჰიუ დალასი | შოტლანდია |
| ლუბოშ მიხელი | სლოვაკეთი |
| ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი | ესპანეთი |
| ხოსე მარია გარსია არანდა | ესპანეთი |
| ანტონიო ლოპეს ნიეტო | ესპანეთი |
| ანდერს ფრისკი | შვედეთი |
| კარლ ერიკ ნილსონი | შვედეთი |
| ურს მაიერი | შვეიცარია |

---

## სიდნეის ოლიმპიადის ტურნირი

I ტური

### ბრაზილია 4:2 არგენტინა

ბრაზილიიდან ბურთები გაიტანეს: რონალდინიო (3), ალექსი

არგენტინიდან: რომერო, კამბიასო

### ჩილე 4:1 ურუგვაი

ჩილედან ბურთები გაიტანეს: გუტიერესი, ტაპია, პიზარო, რიოსი

ურუგვაიდან: ალვარესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| არგენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

*II ტური. 4 თებერვალი. ურუგვაი — არგენტინა; ჩილე — ბრაზილია*

*ორი საუკეთესო მოიპოვებს სიდნეის ოლიმპიადის საგზურს*

---

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

### დანდი იუნ. 0:4 რეინჯერსი

0:1 ვიდმარი (8), 0:2 პარტრიჯი (22 ს.კ.), 0:3 უოლესი (68), 0:4 მაკკენი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 19 | 16 | 2 | 1 | 54:14 | 50 |
| სელტიკი | 19 | 13 | 2 | 4 | 54:17 | 41 |
| დანდი იუნ. | 21 | 9 | 4 | 8 | 25:33 | 31 |
| მოზერუელი | 19 | 7 | 8 | 4 | 30:32 | 29 |
| ჰიბერნიანი | 21 | 6 | 8 | 7 | 32:35 | 26 |
| ჰარტსი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:28 | 23 |
| სტ. ჯონსტონი | 19 | 5 | 6 | 8 | 19:24 | 21 |
| დანდი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:30 | 20 |
| კილმარნოკი | 20 | 2 | 9 | 9 | 19:29 | 15 |
| აბერდინი | 20 | 3 | 4 | 13 | 21:61 | 13 |

ლიგის თასის მეოთხედფინალი

### კილმარნოკი 1:0 ჰარტსი

1:0 ჯეფრი (77)

*„კილმარნოკი“ ნახევარფინალში შეხვდება გლაზგოს „სელტიკს“*

---

## ჰოლანდია

XX ტური

### ტვენტე 4:1 ალკმარი

0:1 რიკსენი (19), 1:1 გრუიჩი (43), 2:1 პეირემანსი (69), 3:1 დე ვიტე (79), 4:1 ვენეგოორ-ჰესელინკი (90)

### ვალვაიკი 1:0 ტილბურგი

1:0 პეტროვი (25)

### კამბური 0:0 ნაიმეგენი

### ჰერენვენი 1:1 აიაქსი

1:0 ლურლინგი (38), 1:1 მახლასი (42)

### ვიტესი 3:1 გრააფსხაპი

1:0 ჯოკემსენი (44), 2:0 ლაროში (56), 2:1 ტუმბა (70), 3:1 დიარა (82)

### მაასტრიხტი 0:0 როდა

საკმაოდ ხანგრძლივი ზამთრის არდადეგების შემდეგ ჩემპიონატი კვლავ განახლდა. ოთხშაბათს ხუთი მატჩი გაიმართა. ქართველი გულშემატკივრისთვის უდავოდ ყველაზე საინტერესო გუნდი, შოთა არველაძის ამსტერდამის „აიაქსი“, „ჰერენვენს“ ესტუმრა. გუნდს, რომელიც მიმდინარე სეზონში აშკარად წარმატებულად თამაშობს და გათამაშების ცხრილში მეორე პოზიციაზე იმყოფება.

„აიაქსის“ რიგებში ტრავმის გამო კვლავ არ უასპარეზია შოთა არველაძეს, მის არყოფნაში კი ამსტერდამელებმა შეხვედრა ფრედ 1:1 დაასრულეს.

ანგარიში პირველ ტაიმში, 38-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს. „აიაქსის“ დაცვის უხეში შეცდომით ენტონი ლურლინგმა ისარგებლა და მეკარე ფრედი გრიმს ლამაზი დარტყმით ბურთი თავზე გადაუგდო. ამსტერდამელებს ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ ოთხი წუთი დასჭირდათ. იესპერ გრონკიაერის ეფექტური გარღვევის შემდეგ ჩაწოდებულ ბურთს ბერძენმა ლეგიონერმა ნიკოს მახლასმა პოზიცია ზუსტად შეურჩია და „ჰერენვენის“ კარში მოათავსა.

მეორე ტაიმი ორმხრივ შეტევებში წარიმართა, მაგრამ ანგარიში ვერც ერთმა გუნდმა ველარ შეცვალა. საბოლოოდ კი ფრე — 1:1.

ჩემპიონობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, არნემის „ვიტესმა“ „გრააფსხაპს“ უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. გუნდმა „ჰერენვენის“ მსგავსად 38 ქულა დააგროვა და ახლა ლიდერ პსვ-ს 3 ქულით ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიური სუპერმატჩი პსვ-სა და „ფეიენოორდს“ შორის გუშინ გვიან ღამით ჩატარდა, ამიტომ პსვ-ს გამარჯვების შემთხვევაში ქულათა სხვაობის გაზრდა შეეძლო.

ამსტერდამის „აიაქსმა“ 18 შეხვედრიდან 37 ქულა დააგროვა და მეოთხე პოზიციაზე დამკვიდრდა.

კიდევ ერთი სახელოვანი ჰოლანდიური კლუბი, როტერდამის „ფეიენოორდი“ 17 ჩატარებული შეხვედრიდან 33 ქულით მეექვსე ადგილზე იყო. როგორც მოგახსენეთ, როტერდამელები გუშინ გვიან ღამით, ეინდჰოვენში ადგილობრივ პსვ-ს ესტუმრნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 18 | 13 | 2 | 3 | 55:14 | 41 |
| ჰერენვენი | 19 | 12 | 2 | 5 | 36:20 | 38 |
| ვიტესი | 20 | 11 | 5 | 4 | 39:28 | 38 |
| აიაქსი | 18 | 11 | 4 | 3 | 48:25 | 37 |
| ტვენტე | 18 | 10 | 6 | 2 | 34:18 | 36 |
| ფეიენოორდი | 17 | 9 | 6 | 2 | 33:18 | 33 |
| ალკმარი | 19 | 10 | 2 | 7 | 37:32 | 32 |
| ვალვაიკი | 19 | 10 | 2 | 7 | 31:35 | 32 |
| როდა | 18 | 9 | 3 | 6 | 29:23 | 30 |
| ტილბურგი | 18 | 9 | 3 | 6 | 30:33 | 30 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 1 | 10 | 28:35 | 22 |
| სპარტა | 18 | 6 | 1 | 11 | 27:39 | 19 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 8 | 9 | 22:32 | 17 |
| ნაიმეგენი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:35 | 16 |
| მაასტრიხტი | 19 | 3 | 4 | 12 | 25:43 | 13 |
| სიტარდი | 18 | 2 | 5 | 11 | 20:33 | 11 |
| კამბური | 18 | 2 | 4 | 12 | 16:38 | 10 |
| დენ ბოსხი | 19 | 2 | 4 | 13 | 18:48 | 10 |

---

## ესპანეთი

თასის მერვედფინალი.

II წრე

### ატლეტიკო 2:0 რეალ უნიონი (3:0)

1:0 ნიეგუსი (9), 2:0 მარკოს მარკესი (70)

### ბარსელონა 0:0 ორენსე (2:1)

### დეპორტივო 0:1 ოსასუნა (0:1)

0:1 ალექს ფერნანდესი (83)

### ოვიედო 0:0 მერიდა (0:1)

### რაიო ვალეკანო 3:1 ლეიდა (3:2)

0:1 სიმეონი (70 პ), 1:1 ვან დენ ბერგი (83), 2:1 ლუის სემბრანოსი (89), 3:1 მიჩელ I (90)

---

## ბელგია

თასის მეოთხედფინალის წილისყრა

26 თებერვალი

ლიერსი — ლოკერენი; სტანდარდი — მონსი (I)

27 თებერვალი

გენკი — გენტი; სენტ ტრუიდენი — აალსტი

---

## ჩრდილოეთის თასი

### ისლანდია 1:0 ფინეთი

1:0 დადასონი (45)

### ნორვეგია 4:2 დანია

0:1 ლასენი (1), 1:1 ჰ. ბერგი (50), 2:1 ლუნდი (55), 2:2 ანდერსენი (88), 3:2 ჰბერგი (89), 4:2 ლუნდი (90)

**ვიყიდი**

1973 წლის თბილისის „დინამოსა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თბილისური მატჩის პროგრამას.

ტელ: 8 (99) 55 36 93

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### გადადებული მატჩი

**შეფილდ უენსდი 0:1 მანჩესტერი**

0:1 შერინგემი (73)
შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, იონკი, სკოტი (რუდი 59), ჰასლამი, ალექსანდერსონი, სიბონი (კროსველი 82), დე ბილდე (დონელი 69)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სილვესტრი, სტამი, ირვინი, როი კინი, ბათი (სქოულზი 46), ბექემი, გიგზი, იორკი, შერინგემი
გაფრთხილება: ნოლანი
მსაჯი: დანი

ოთხშაბათს შეფილდში ადგილობრივ „უენსდისთან“ მიღწეული გამარჯვებით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა. 73-ე წუთზე გამოცდილმა ტედი შერინგემმა სერ ალექს ფერგიუსონს კიდევ ერთხელ გაუმართლა — შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა და „წითელ ეშმაკუნებს“ ცხრილის სათავეში დაუბევა ადგილი.

გოლი სწრაფ კომბინაციას მოჰყვა. რაიან გიგზმა ტედი შერინგემი მოძებნა, ამანაც დასწრებაზე ზუსტად ითამაშა და მარცხენა ფეხით მეკარე სრნიჩეკს გაუტანა. მიმდინარე სეზონში ეს შერინგემის მიერ გატანილი მესამე ბურთი გამოდგა.

თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა სერ ალექს ფერგიუსონი, რომელმაც განაცხადა: „უენსდიმ“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, ამ გუნდმა ბოლო ხანს აშკარად მოუმატა. გასაკვირი არცაა, რომ მათთან გასვლით შეხვედრაში გაგვიჭირდა, თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. თუმცა საბოლოოდ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, ახლა ერთპიროვნული ლიდერები ვართ.“

ჩემპიონებს 22 ჩატარებული შეხვედრიდან 50 ქულა დაუგროვდათ და უახლოეს მდევარ „ლიდსს“ 3 ქულით უსწრებენ. ლიდერ დუეტზე მატჩით მეტი აქვს გამართული ლონდონის „არსენალს“, რომელიც 44 ქულით მესამე ადგილზეა.

ინგლისის თვის საუკეთესო მწვრთნელის, დენი უილსონის „უენსდი“ კი 23 შეხვედრიდან 16 ქულით ბოლოსწინა პოზიციაზეა. გუნდმა ბოლო ხანს თამაში აშკარად გააუმჯობესა და რამდენიმე პრინციპული მატჩიც მოიგო, რის გამოც დენი უილსონი იანვრის რჩეულად აღიარეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 22 | 15 | 5 | 2 | 53:26 | 50 |
| ლიდსი | 22 | 15 | 2 | 5 | 37:25 | 47 |
| არსენალი | 23 | 13 | 5 | 5 | 42:23 | 44 |
| ლივერპული | 23 | 12 | 5 | 6 | 34:20 | 41 |
| სანდერლენდი | 23 | 11 | 5 | 7 | 37:31 | 38 |
| ჩელსი | 23 | 10 | 7 | 6 | 31:22 | 37 |
| ტოტენჰემი | 23 | 10 | 5 | 8 | 34:27 | 35 |
| ვესტ ჰემი | 22 | 8 | 8 | 6 | 28:25 | 32 |
| ასტონ ვილა | 23 | 8 | 7 | 8 | 22:23 | 31 |
| ლესტერი | 23 | 9 | 4 | 10 | 32:34 | 31 |
| ევერტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 37:34 | 30 |
| ქოვენთრი | 22 | 7 | 8 | 7 | 30:24 | 29 |
| უიმბლდონი | 23 | 6 | 10 | 7 | 34:37 | 28 |
| მიდლსბრო | 22 | 8 | 4 | 10 | 24:31 | 28 |
| ნიუკასლი | 23 | 7 | 6 | 10 | 39:39 | 27 |
| დერბი ქაუნთი | 23 | 6 | 5 | 12 | 23:33 | 23 |
| საუთჰემპტონი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:37 | 23 |
| ბრედფორდი | 23 | 5 | 6 | 12 | 19:35 | 21 |
| უენსდი | 23 | 4 | 4 | 15 | 20:47 | 16 |
| უოტფორდი | 23 | 4 | 2 | 17 | 21:50 | 14 |



მანჩესტერელი ნიკი ბათი შეფილდელი ვიმ იონკისთვის ბურთის წართმევას ცდილობს

# ჯადოსნური ღამე პარიზში



ივან სამორანო

*— ერთ რამეში დავრწმუნდი — ამბობს მილანის „ინტერის“ ჩილელი თავდამსხმელი ივან სამორანო — ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს და ერთობლივი სურვილისა და თავდადების შემთხვევაში აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას. თუ საკუთარ ძლიერებას ვირწმუნებთ, შედეგი არ დააყოვნებს. კიდევ, მაესტროს უნდა ვენდოთ.*

**— როგორც ჩანს მარჩელო ლიპიმ რწმენის აღმართს შეგაყენათ.**

— მაესტრო ძლიერ გუნდს აყალიბებს. მან იცის, რომ ფეხბურთელებიც მზად ვართ მთელი ძალ-ღონე შევალიოთ საქმეს და გვამხნევებს, სწორად აზროვნებას გვაჩვევს, ცოდნასა და გამოცდილებას გვიზიარებს. ჩემი თანაგუნდელები ტექნიკურად უზადონი გახლავან, რაც შეცდომათა რაოდენობას ამცირებს, მარამ მხოლოდ კარგი ტექნიკა კარგ შედეგებს არ ნიშნავს. ძალიან ბევრი ნიუანსია, რომელთა ცოდნაც გუნდის მექანიზმის აღსაქმელად არის საჭირო. ეს ცოდნა გუნდის აწყობას სჭირდება. აქვე გავიმეორებ, რომ ლიპი ყველაფერთან ერთად დიდ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას გვიწევს.

**— ხომ არ გვეტყოდით ერთ სიტყვას, რომელიც დღევანდელი „ინტერის“ საფუძველშია ჩადებული?**

— ჩვენთვის მთავარი გამარჯვებაა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სიტყვა, ალბათ, მაინც ღირსება გახლავთ. ამ სიტყვის გამოა მიწაზე მყარად რომ ვდგავართ. ღირსების გრძნობა განაპირობებს იმას, რომ ჩვენ გაბედულად და თავდადებით ვიბრძვით წარმატებისთვის, საკუთარ თავს და ხალხს რომ მივუძღვნით.

**— რას ფიქრობენ მარჩელო ლიპიზე ფეხბურთელები?**

— მე თუ მკითხავთ, ლიპი ის ადამიანია, რომელიც ამ ქვეყნად გამარჯვებისთვის დაიბადა. მან ზუსტად იცის რა უნდა და ყოველი მატჩის წინ ფეხბურთელებისთვის საბრძოლო სულისკვეთების შთაბერვა ეხერხება. ბუნებრივია მოთამაშეებიც ენდობიან, რადგან იციან, რომ მიზნისკენ ჯიქურ მიიწევს და დამარცხებას ვერ ეგუება. ასეთ პირობებში მტრობა და გაურკვევლობა ქრება, თითოეული ჩვენთაგანი კი თავს გუნდის ნაწილად აღიქვამს.

**— მაგრამ ყოველთვის მოგება ხომ შეუძლებელია?**

— ბუნებრივია შიგადაშიგ ვმარცხდებით. კარგად მახსოვს მილანური დერბი. რონალდო რომ გააძევეს მაესტრომ იგრძნო, კრისტიანს (ვიერის) დახმარება სჭირდებოდა და გადმომხედა. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. საერთოდ, როდესაც შეცვლაზე შედიხარ, ცოტა ხანს ხურდები, შემდეგ კი მოედანზე შენი ადგილისა და როლის გასააზრებლად მხოლოდ წამები გეძლევა. მაესტრომ ორი სიტყვით, მაგრამ ძალიან მკაფიოდ ამიხსნა, რას ითხოვდა ჩემგან — შედი, შეუტიე, მაგრამ ნახევარდაცვასაც მიეხმარეო.

**— იმ შეხვედრის დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, რას შეცვლიდით?**

— მართალი გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ათნი დავრჩით თერთმეტის წინააღმდეგ, არ ველოდი, რომ „მილანი“ გოლს გაგვიტანდა. წესრიგი და კონცენტრაცია მოედანზე ორი უმთავრესი პირობაა და მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს წავაგეთ, არც წესრიგი დაგვირღვევია და არც კონცენტრაცია დაგვკლებია.

**— წაგებით გამოწვეული უსიამოვნო გრძნობა რამდენ ხანს ცოცხლობს?**

— ფეხბურთელობა ჩქარი რიტმით ცხოვრებას ნიშნავს. უსიამოვნო გრძნობა ცოტა ხანს მიგყვება, მერე კი ყველაფერი თავიდან იწყება, გაიმარჯვებ, ამაყად მიმოიხედავ და ამასობაში მესამე მატჩიც მოგადგება. ფეხბურთს მუდმივი რიტმი აქვს და ადამიანი ემოციის მოზღვავებას ვერ დაემონება, რადგან ხვალ ახალი დღეა. მოკლედ, ვერც წაგება და ვერც მოგება ვერ დაგატყვევებს — მუდმივად მორიგი შეხვედრისთვის უნდა მოიკრიბო ძალა. თუ ასე არ იქცევი, ესე იგი ფეხბურთელისთვის შეუფერებელი მენტალიტეტი გაქვს. გარდა ამისა, როგორც იმას, ვისაც მოუგე, ასევე იმას, რომელთანაც წააგე, კიდევ შეხვდები. მთავარია მოედანზე ბოლომდე დაიხარჯო.

**— ფეხბურთელების ამბებს გულშემატკივარი პრესიდან იგებს. როგორც წესი, ხალხი თქვენზე სწორედ გაზეთებზე დაყრდნობით საუბრობს.**

— დამარცხების შემდეგ მართლაც ბევრი პრობლემა გვექმნება, ვინაიდან ჩვენს ნებისმიერ ნათქვამს პრესა ცუდი კუთხით აშუქებს და იყენებს. ამიტომაც აუცილებელია გარემოსგან დამცავი კედელი ავაგოთ და მხოლოდ საკუთარ საქმეებზე ვიფიქროთ. ჩვენ მხოლოდ მოთამაშეები ხომ არ ვართ, ადამიანები გახლავართ და პასუხისმგებლობის გრძნობაც გვაქვს.

**— „ინტერში“ თავს ვეტერანად გრძნობთ?**

— რომელიმე კლუბში დიდხანს თამაში ბუნებრივად იწვევს ასეთ გრძნობას. „ინტერში“ დიდი და დადებითი გამოცდილება შევიძინე, ბევრი ვნახე და განვიცადე. მაგალითად, არასდროს დამავიწყდება ღამე პარიზში, რას ეძახიან? სინათლის ქალაქს, არა? ეს იყო ჯადოსნური ღამე. იმ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ვითამაშე (საუბარია უეფას თასის 1998 წლის ფინალზე, ინტერი — ლაციო 3:0). ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთ ღამეს კვლავ დავიყენებთ.

**— გასული სეზონის ბოლოს კი ამბობდნენ სამორანო „ინტერიდან“ მიდისო.**

— გასული სეზონის ბოლოს სხვა გუნდში გადასვლის მართლაც მრავალი შესაძლებლობა მქონდა. იცით, ერთხელაც რომ გამევლო სადმე წასვლა გულში, დაუყოვნებლივ ჩავალაგებდი ბარგი-ბარხანას. თანაგუნდელებმა, პრეზიდენტმა, ქომაგებმა... ყველამ მომმართა, ყველამ მაგრძნობინა, რომ როგორც მოთამაშეს ასევე ადამიანს დიდ პატივს მცემენ. „ინტერის“ ფორმა ჩემთვის დიდად საამაყო გახლავთ.

როდესაც ითქვა, თითქოს სადღაც გადავდიოდი, თავი იმ კაცად ალვიქვი უკანა კარიდან რომ იპარება. არა, ამჯერად ეს გამორიცხული იყო. სულ იმაზე ვფიქრობ, რომ აქ ხალხი საუცხოოდ მეპყრობა და ძალიან მსურს „ინტერის“ შემადგენლობაში ჯილდოები მოვიპოვო. მე „ინტერთან“ ერთად და „ინტერისთვის“ სკუდეტო უნდა მოვიგო.

**თარგმნა ბაბუნა ბედიამ**

# მატჩის წინ აკრძალულია

ერთი ძველი ამბავი უნდა გავიხსენოთ, რომლის გარკვევასაც თითქმის სამი თვე ლამობდნენ და ოთხშაბათს ვერდიქტიც გამოიტანეს. ისრაელის ნაკრებზე მოგახსენებთ. საქმე კი ასე იყო. ისრაელის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და პლეიოფში დანიას დაუპირისპირდა. პირველი მატჩი თელ ავივში გაიმართა და ებრაელთათვის სავალალო შედეგით 0:5 დასრულდა. იქაურ გულშემატკივრებს გული კი დასწყდათ, მაგრამ მარცხს ახსნაც ჰქონდა — დანია მეტად ძლიერი გუნდია. მეორე დღეს დედაქალაქურ გაზეთ „მაარივში“ გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, საიდანაც გაირკვა, რომ ნაკრების უსუსური თამაში სულ სხვა მიზეზით ყოფილა გამოწვეული. გაზეთის რეპორტიორს დაუფიქსირებია, სასტუმროს იმ ნომრებში, სადაც ებრაელი ფეხბურთელები იყვნენ დაბინავებული, როგორ შევიდნენ უცნობი ქალბატონები. რეპორტიორი განმარტავს, ფეხბურთელთა ცოლებს საკმაოდ კარგად ვიცნობ და ის გოგონები მათ სულაც არ ჰგავდნენ, თან მეტად გამომწვევად ეცვათო. შემდეგ იმ იმედით, რომ ფეხბურთელები პრინციპული მატჩის წინ ენერგიას არამიზნობრივად არ დახარჯავდნენ და გოგოებს თავაზიანი უარით გაისტუმრებდნენ, რეპორტიორი სასტუმროს ჰოლში დიდხანს იცდიდა, ფეხბურთელები კი გოგოებთან განშორებას არ ჩქარობდნენ. რეპორტიორი დაეჭვდა, მაგრამ რედაქციაში სენსაციური მასალის მიტანა სამომავლოდ გადადო, ამბის გაგრძელებას ელოდა. მოვლენები კი ასე განვითარდა — მეორე დღეს დანიელებმა შლომო შარფის ბიჭებს ხუთი უპასუხო გოლი შეუგდეს. მატჩის შემდეგ რეპორტიორს გონება გაუნათდა, თურმე დანიელთა ძალა არაფერ შუაშია, წაგების მიზეზი სულ სხვა რამ ყოფილა, რაც მხოლოდ მან იცოდა. რედაქციაში მისვლა არც ამჯერად იჩქარა, კვლავ სასტუმროს მიაშურა და ადმინისტრატორს რაღაც გზებით მოთამაშეთა ანგარიშები დასტყუა. ქვითრები ცხადყოფდა, მათ ნომრებში მოთავსებული მინი-ბარებით უსარგებლიათ და ალკოჰოლურ სასმელში (ისრაელში ფულის ერთეულია) ბლომად დაუხარჯავთ. რეპორტიორმა აღნიშნული თანხა უმალ ლიტრებში გადაიყვანა და დაასკვნა, ფეხბურთელებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონების კომპანიაში ბევრი ვისკი მიურთმევიათო (იქამდე ფიქრობდა, ვაითუ ვცდები, იქნებ სამატჩო ტაქტიკურ სქემებს არჩევენო). სასტუმროს ადმინისტრატორმა რეპორტიორს ისიც გაუმხილა, მატჩის შემდეგ ფეხბურთელები უკან რომ დაბრუნდნენ, ის გოგოები კვლავ ეწვივნენო. ჩვენმა რეპორტიორმა ახლა კი გადაწყვიტა, დროა, ჩემი საიდუმლო მთელ ქვეყანას ვამცნოო და რედაქციაში წასასვლელად ტაქსი (ხარჯებს არ მოერიდა) დაიქირავა. შედეგად მკითხველმა ის სტატია იხილა, ზემოთ რომ მოგახსენეთ და დღემდე მსჯელობის საგნად ქცეულა.

ვინ აღარ გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე. იმასაც ამბობენ, ბილ კლინტონთან შეხვედრის წინ პრემიერი თავის მინისტრებს მავან ფეხბურთელთა ამორალურობაზე ესაუბრებოდაო. დაინიშნა სპეციალური გამოძიება. ისრაელის ფეხბურთის ასოციაციამ ეს საქმე მეუღლეთა ღალატში ჯერ არ მხილებულ ექვსკაციან კომისიას მიანდო. აქვე ვთქვათ, რომ ვისაც ორგულ ფეხბურთელთა გვარები აინტერესებს, ვერ გაიგებენ. კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ეფი იაარი ამბობს: „ეს მეტად დელიკატური საქმეა და სიფრთხილე გვმართებს. ეთიკური მოსაზრებებით ეჭვმიტანილთა ვინაობა საზოგადოებისთვის საიდუმლოდ დარჩება“. ფეხბურთელთა (ისინი სულ ოთხნი არიან) ბრალეულობაში კი პატივცემულ პროფესორს ეჭვი არ ეპარება, რის შესახებაც ფეხბურთის ასოციაციას ამცნო. ვინაიდან განზე სიარული სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება, ასოციაციამ დამნაშავეთ ასეთი სასჯელი გამოუტანა — ნაკრებიდან მოკვეთა.

რა შეიძლება კიდევ ითქვას? ის, რომ ისრაელის ნაკრების მარცხი ოთხი ფეხბურთელის ცუღლუტობას ბრალდება. ხოლო ფაქტი, რომ დანიური ფეხბურთი ებრაულს სჯობს, დავიწყებას მიეცა.

**გიორგი დარჯანია**

*P.S. ფეხბურთელთა ვინაობას საიდუმლოდ კი ინახავენ, მაგრამ შემადგენლობიდან ოთხი ძველი მოთამაშის გვარი რომ გაქრება, განა ყველაფერი ნათელი არ გახდება?*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვეულება ასაკზეც უმტკიცესია

## ოტი და ბუბკა: ქალბატონი სპრინტი და ბატონი ჭოკი დაბრუნდნენ

ვალენსიის სამძლეოსნო ტურნირის ორგანიზატორებს, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდათ. ესპანელებმა დიდი სამზადისი გასწიეს, ბევრი ქებული მძლეოსანი შეკრიბეს და რომ ეგონათ, ეგ არის და გაივსო ვალენსიის დახურული სამძლეოსნო დარბაზიო, იამაიკელი მერლინ ოტის საპატიო წრეს, ერთადერთ ტრიბუნას შეხიზნული ათასიოდე გულშემატკივარიღა შეეგება ოვაციით. ოტის ამბები აქამდეც გიამბეთ, მას დოპინგის ერთ-ერთი ნაირსახეობის — ნანდროლონის გამოყენება დასწამეს და ორიოდე თვეში იქნებ სულაც მოსწყვიტონ საყვარელ საქმეს. თითქოს დროცაა, ორმოცს მიღწეულმა მერლინმა მოისვენოს და უკვე მოხვეჭილი ავლადიდებით ტკბილად იცხოვროს, მაგრამ სარბენ ბილიკებს, ეტყობა, ვერ ელევა. კარლსრუეს ტურნირიდან მოკვეთილი ოტი ესპანელებმა დააფასეს და ვალენსიაში მიიწვიეს, აქ იამაიკელმა 60 მეტრი თვალის დახამხამებაში გაირბინა და ცხადია, ყველას გაუსწრო. 7,14 წამი იქნებ არ იყოს ის შედეგი, რომლითაც რვა წლის წინ, ჭერქვეშ, 6,96 წამში ჩატეული ოტი ვინმეს გააკვირვებს, მაგრამ აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შარშანდელი 18 აგვისტოდან მოყოლებული, როცა ოტის ნანდროლონი უპოვეს, მას არსად ურბენია. „ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდა“ — აღნიშნა გამარჯვების შემდგომ იამაიკელმა — „ახლა კი პირიქით, ვგრძნობ, რომ ძალები შემემატა და უფრო მედგრად ვიბრძოლებ ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლად“.

თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა უკრაინელი სერგეი ბუბკაც, სახელოვანი მეჭოკე, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, რომელსაც ოტიზე მეტი, 17 თვე გაუცდა. დაბრუნება ბუბკამაც გამარჯვებით აღნიშნა, თუმცა 5 მეტრი და 60 სანტიმეტრი, რომელიც დასძლია, მისთვის საკმაოდ უჩვეულოა, მით უფრო, რომ იგივე შედეგი კიდევ ორმა მეჭოკემ უჩვენა და ბუბკას მხოლოდ დამატებითმა მაჩვენებლებმა არგუნა პირველობა. მისგან და მერლინ ოტისგან განსხვავებით, ჯერჯერობით შელახული პრესტიჟის ღირსეულად აღდგენას ვერ ახერხებს კანადელი დონოვან ბეილი, რომელმაც ატლანტის ოლიმპიადაზე 100 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა და ერთხანს მსოფლიოს რეკორდსმენიც იყო. ბოლო ორი წელია, ბეილის ნაირ-ნაირი ტრავმები ტანჯავს და მისებურად ლაღად სირბილში ხელს უშლის. ვალენსიაშიც წარმატებას მოწყურებული ჩანდა დონოვანი, მაგრამ ფინიშთან მისულს გამარჯვებული სულ სხვა მორბენალი დახვდა — მან სამი მეასედი წამი წააგო, თანაც არ იკითხავთ, ვისთან? მავან ესპანელთან, ვენანსიო ხოსესთან, რომელსაც, არათუ უცხოეთში, არამედ სამშობლოშიც ბევრი არავინ იცნობს. ეს ამბავი 60-მეტრიან დისტანციაზე მოხდა.

**დავით გულუა**



მერლინ ოტი



სერგეი ბუბკა



# ამერიკა და თეთრი შავები

დღეს გეოგრაფიულად ერთმანეთისგან მეტისმეტად დაშორებულ რვა ქვეყანაში ახალი საუკუნის პირველი გუნდური საჩოგბურთო ტურნირი დაიწყება — დევისის თასის პირველ წრეში თექვსმეტი გუნდი გაეჯიბრება ერთმანეთს

**ზიმბაბვე — აშშ**
**(ჰარარე)**

ეს მატჩი აშშ-ის დევისის თასის გუნდის ახალი კაპიტნის — ჯონ მაკინროისთვის პირველია თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი დიდხანს იბრძოდა ნაკრების თავკაცობისთვის და მისვლისთანავე გათამაშებაზე გულაყრილი ვარსკვლავები — ანდრე აგასი და პიტ სამპრასი დააბრუნა გუნდში.

აგასი ზიმბაბვეში მართლაც ითამაშებს, აი, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში დამარცხებულმა სამპრასმა კი მაკს, რამდენიმე დღის წინ უარი შეუთვალა, დავშავდიო.

„ნახევარფინალში ბარძაყის კუნთი გავიწყვიტე და ახლა წესიერად მოძრაობაც მიჭირს. ალბათ, სამი-ოთხი კვირის მანძილზე ველარ ვითამაშებ. ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ იმედია, მეორე წრეში დავეხმარები გუნდს“ — განაცხადა უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონმა.

სამპრასის ტრავმას კიდევ ერთი ამერიკელის, ტოდ მარტინის გრიპიც დაერთო და აფრიკაში იოლი საფარის მოწყობის იმედით ჩასულ მაკინროის მოულოდნელად დიდი პრობლემები გაუჩნდა: მატჩი ჰარარეში უჩვეულო, თითქმის 2000 მეტრ სიმაღლეზე უნდა ჩატარდეს, თანაც მასპინძელთა თეთრკანიანი ძმები — უეინ და ბაირონ ბლექები თავს არავის დააჩაგვრინებენ.

თავის დროზე დიდმა შფოთისთავმა, სამპრასის შემცვლელად „ოუფენის“ მეოთხედფინალისტ კრის ვუდრაფს უხმო, წყვილებში სათამაშოდ კი მელბურნში გაჩემპიონებული ვეტერანი რიკ ლიჩი გამოიძახა.

„კაპიტანს უნდა ჰქონდეს სათადარიგო გეგმა, მაგრამ სამპრასის და მარტინის შეცვლა იოლი სულაც არ არის. მე აგასის დიდი იმედი მაქვს, მსოფლიოს პირველი ჩოგანია და საუკეთესო ფორმაშია, ასე რომ, აქედან დამარცხებული არ წავა“ — გული არ გაიტეხა მაკინროიმ, თანაც ერთი-ორჯერ სამპრასიც გაკენწლა, მაგის ტრავმას თაღლითობის სუნი ასდისო, მერე კი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცები გალანძღა, კალენდარი უტვინოდ შეადგინესო.

ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორი აგასი ზიმბაბვეში ორშაბათს ჩაფრინდა, თუმცა, დროის ცვლილებას რომ შეჩვეოდა და ცოტა დაესვენა, ორი დღე არაფერი უკეთებია და მხოლოდ ოთხშაბათს ივარჯიშა.

„ჩვენ წინ საქმე გველის, დევისის თასზე თამაში იოლი არაა. ის გარკვეულ მსხვერპლშეწირვას მოითხოვს, მაგრამ წარმატების შემთხვევაში ერთიორად გინაზღაურებს დახარჯულს. ბაირონისა და უეინის დამარცხება ძნელი იქნება, წინ მძიმე უიქენდია“ — ასეთი იყო მსოფლიოს პირველი ჩოგნის პროგნოზი.



ჯონ მაკინროი (შუაში) და ანდრე აგასი (მარჯვნივ) ზიმბაბვეს პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს ესაუბრებიან



ჯონ ნიუკომბი (მარჯვნივ) ლეიტონ ჰიუიტს მოძღვრავს

აშშ-სა და ზიმბაბვეს გუნდები აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს და საერთოდ, იანკები აფრიკაში პირველად ითამაშებენ.

**ესპანეთი — იტალია**
**(მურსია)**

**ესპანეთი:** ალექს კორეტხა, ალბერტ კოსტა, ფრანსისკო კლავეტი, ხუან ბალსელსი.

**იტალია:** ანდრეა გაუდენცი, დიეგო ნარგიზო, დავიდე სანგვინეტი, ვინჩენცო სანტოპადრე

**სლოვაკეთი — ავსტრია**
**(ბრატისლავა)**

**სლოვაკეთი:** კაროლ კუჩერა, დომინიკ ჰრბატი, იან კროსლაკი, ლადისლავ შვარცი

**ავსტრია:** შტეფან კუბეკი, მარკუს ჰიპფლი, იულიან ნოული, ტომას შტრენბერგერი

**შვეიცარია — ავსტრალია**
**(ციურიხი)**

შარშანდელ ჩემპიონ ავსტრალიელებს, მშობლიური ზაფხულის ხვატიდან ალპურ ზამთარში გადაბარგება ძნელად თუ მოუხდებოდათ, მაგრამ შინაომში გახვეულ მასპინძლებს, ალბათ, მაინც იოლად გააკრავენ ბეჭებზე.

თუ მწვანე კონტინენტელებმა შთამბეჭდავ შემადგენლობას — მარკ ფილიპუსს, ლეიტონ ჰიუიტს, უეინ არტურსსა და სენდონ სტოლის მოუყარეს თავი, შვეიცარიელებს თავიანთი საუკეთესო მოთამაშე გამოაკლდებათ.

მარკ როსე თავიდან იმან გაანაწყენა, რომ ყოფილი თანაგუნდელი იაკობ ჰლასეკი ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე დანიშნეს კაპიტნად, მერე კი ამ უკანასკნელმა 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სულაც საჯაროდ გათათხა და სამუდამოდ მოკვეთა ნაკრებიდან, მე ახალი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოო.

თავიდან როსეს კოლეგები გამოესარჩლნენ და საქმე კინაღამ ბოიკოტამდე მივიდა, თუმცა ნეიტრალური ქვეყნის საუკეთესო ტრადიციებიდან გამომდინარე, მხარეები მალე მორიგდნენ. თამაშზე დათანხმდნენ როჯერ ფედერერი, ლორენცო მანტა, გეორგ ბასტლი.

„შვეიცარიელებს კარგი გუნდი ჰყავთ. ფედერერი შესანიშნავი ახალგაზრდა ჩოგბურთელია, თანაც ისინი შინ თამაშობენ და დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ“ — მოულოდნელობისგან თავი დაიზღვია ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა, თუმცა შანსებს 50/50-ზე ვერავინ შეაფასებს.

**ბრაზილია — საფრანგეთი**
**(ფლორიანაპოლისი)**

**ბრაზილია:** გუსტავო კუერტენი, ფერნანდო მელიგენი, ფრანსისკო კოსტა, ხაიმე ონსინსი

**საფრანგეთი:** სედრიკ პიოლინი, ჟერომ გოლმარი, ნიკოლა ესკუდე, სებასტიან გროსჟანი

**რუსეთი — ბელგია**
**(მოსკოვი)**

რუსების ყველაზე დიდი საფიქრალი მათი ლიდერის, ევგენი კაფელნიკოვის მდგომარეობაა. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში დამარცხებული სოჭელი მოსკოვში ორშაბათს, 20-საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავიდა, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გასავათებული.

„პარასკევამდე კიდევ დარჩა დრო და იქნებ მისი ფეხზე დაყენება მოვასწროთ, საფარი ძალიან სწრაფია და ეს ჩვენ ბიჭებს ხელს აძლევს“ — განაცხადა კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა.

კაფელნიკოვის ნახევრადყოფნაში პასუხისმგებლობა 20 წლის მარატ საფინს დააწვება მხრებზე, რომელსაც ანდრეი ოლხოვსკის ტრავმის გამო, ალბათ, წყვილებშიც მოუხდება თამაში: „ტარპიშჩევს ეშინია, რომ კაფელნიკოვს არაფრის თავი არ ექნება, მაგრამ ფავორიტები ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ვართ“.

საფინს ოპტიმიზმის საფუძველს მეტოქეთა შემადგენლობაც აძლევს — კრისტოფ როშიუ, ოლივიე როშიუ, ფილიპ დევულფი და კრისტოფ ვან გარსი.

**ჩეხეთი — ინგლისი**
**(ოსტრავა)**

**ჩეხეთი:** ირჟი ნოვაკი, სლავა დოსედელი, მიხალ ტაბარა, დევიდ რიკლი

**ინგლისი:** ტიმ ჰენმანი, ნილ ბროდი, ჯეიმი დელგადო, არვინდ პარმარი

**გერმანია — ჰოლანდია**
**(ლაიფციგი)**

**გერმანია:** ტომი ჰაასი, რაინერ შუტლერი, დევიდ პრინოშილი, მარკ-კევინ გელნერი

**ჰოლანდია:** პოლ ჰაარჰიუსი, სხენგ შალკენი, იან სიმერინკი, იან ვან ლოტუმი.

**ავთანდილ სვანიძე**

# უელსელებს კარდიფი მოენატრათ

„ვეცდებით, „მილენიუმზე“ ისეთივე სასიამოვნო გარემო შევუქმნათ ფრანგებს, როგორსაც თვითონ უქმნიან მეტოქეებს პარიზში. ოღონდ აუცილებლად უნდა მოვიგოთ“ — განაცხადა უელსელთა გუნდის ახალმა კაპიტანმა დევიდ იანგმა. „მილენიუმის“ მშენებლობის გამო, ორი წელი უელსის ნაკრები ხუთი ერის პირველობის საშინაო მატჩებს ინგლისში, „უემბლის“ სტადიონზე ატარებდა. ახლა კი თავის ქომაგებთან ბრუნდება და უდიდესი სურვილიც აქვს, დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნოს.

თავისი „მხსნელის“, ახალზელანდიელი მწვრთნელის გრეჰემ ჰენრის თავკაცობით, ექვსი ერის პირველობაზე უელსი ეცდება გამარჯვებების სერია განაგრძოს, რომელიც მსოფლიოს თასზე სამოელებმა (31:38) შეაწყვეტინეს. ისე, მართლაც დიდი ხანი იყო გასული, უელსს ზედიზედ 10 მატჩი არ მოეგო. თანაც ამ პერიოდში მან ინგლისს სძლია უემბლიზე (32:31), რითაც ხუთი ერის უკანასკნელი ტურნირი შოტლანდიას მოაგებინა. ინგლისის გარდა უელსელთა ძალა თავის თავზე სამხრეთაფრიკელებმა და ფრანგებმაც (ორჯერ) გამოსცადეს.

ახალი წარმატებების იმედს ჰენრის უელსური კლუბების ევროპის თასზე კარგი გამოსვლაც აძლევს. ის თვლის, რომ ნაკრების ძველი მორაგბეები კარგ ფორმაში არიან და გზადაგზა ახლების დამატებაზეც არ ამბობს უარს. ასე მაგალითად, სკოტ გიბსის ნაცვლად, რომელიც დაშავებულია, ჰენრიმ ტომით ავსტრალიელი ჯეისონ ჯონს-ჰიუგსი მიიწვია.

სიდნეიში დაბადებული 23 წლის ჯონს-ჰიუგსი სამმეოთხედელთა ცენტრში მარკ ტეილორის გვერდით დაიკავებს ადგილს. ჰენრიმ კიდევ ერთი ცვლილება მოახდინა შემადგენლობაში. მორკინალი კრეიგ ქვინელი იან გოუგმა შეცვალა. ხოლო გუნდის კაპიტნად, რობ ჰოულის ნაცვლად დევიდ იანგი დაინიშნა.



ნილ ჯენკინსი

გრეჰემ ჰენრის აზრით, უელსელებს შეუძლიათ ძველი დიდება დაუბრუნონ ქვეყანას. ისე, თითქმის არავის სჯერა, რომ უელსელები ტურნირში 31-ედ გაიმარჯვებენ (8 დიდი სლემი) და ინგლისელებს წამოეწევიან, რომლებსაც ხუთი ერის პირველობა 33-ჯერ მოუგიათ. თუმცა მათ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დამრტყმელის ნილ ჯენკინსის იმედი აქვთ. ჯენკინსს 1991 წლიდან მოყოლებული 73 კეპი მოუხვეჭია და თან მსოფლიოში, სანაკრებო დონეზე ყველაზე მეტი, 936 ქულაც დაუგროვებია.

„შემადგენლობის მხრივ თუ ვიმსჯელებთ, საფრანგეთი ტურნირის უძლიერესი გუნდია. მას ძლიერი და გამოცდილი მორაგბეები ჰყავს. პირველ ტურში ფრანგთა მასპინძლობა მეტად საპატიო და ამავდროულად ძნელი საქმეა. ყველანაირად ვეცდებით, ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს იმედი არ გავუცრუოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ“ — საკმაოდ იმედიანადაა განწყობილი გრეჰემ ჰენრი.



ახლებურ პირველობას ფრანგები ახალი მწვრთნელით, ბერნარ ლაპორტით ხვდებიან

# ფრანგები ფრთხილობენ

ფრანგებმა ჯერ კიდევ არ იციან მსოფლიოს თასის ფინალში გასვლა და ვერცხლის მედლების მოპოვება შარშანდელი სეზონის მაჟორულ ნოტაზე დასრულებული იყო, თუ ახალი სიმაღლეების დასაძლევი ტრამპლინი. ამიტომაც, ისინი ექვსი ერის პირველობას მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდებიან, იქნებ შარშანდელივით გათამაშების ცხრილის ფსკერზე დაილექონ, ანდა 1997 და 1998 წლების ტრიუმფი გაიმეორონ და ყველა მოწინააღმდეგის დამარცხებით დიდი სლემიც შეასრულონ. მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ახალი ზელანდიის დამარცხებით ფრანგები სიხარულისგან მეცხრე ცაზე იყვნენ და რეალობას ვერც ფინალში, ავსტრალიასთან წაგების შემდეგ დაუბრუნდნენ. რა მოელით მათ ექვსი ერის პირველ ტურნირში? ძნელი სათქმელია.

მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე „სტად ფრანსეს“ თავკაცი ბერნარ ლაპორტმა ტულუზელი ჟან-კლოდ სკრელა შეცვალა. „ტურნირის ფავორიტებად კი გვთვლიან, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ბევრი რამ გვაქვს შესაცვლელი და დასახვეწი. ამისთვის კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი კვირა გვრჩება. ასე რომ, თავდადებით უნდა ვიმუშაოთ“ — თქვა საფრანგეთის ნაკრების მოსამზადებელი შეკრების წინ ლაპორტმა.

მართლაც, ბევრი რამ შეიცვლება „მამლების“ თამაშში. ფრანგთა ახალ მწვრთნელს სკრელასგან სავსებით განსხვავებული შეხედულებები და იდეები აქვს. მის ხელში, ალბათ, დაიკარგება კიდეც „მამლების“ განთქმული ლაღი და სანახაობრივი ბურთაობა, რომელიც ეგზომ საამო საცქერი იყო. ლაპორტისთვის მთავარი შედეგია. ავსტრალიელთა შემხედვარემ გადაწყვიტა, რომ თუ სასურველ შედეგს გინდა მიაღწიო, აუცილებლად მათნაირი რკინისებური დაცვა უნდა გყავდეს და მორაგბეებიც ფიზიკურად ძალიან ძლიერნი იყვნენ. ასე რომ, მსოფლიოს თასზე მშვენივრად მოთამაშე ფილიპ ბერნა-სალი უელსთან არ ითამაშებს, მის ნაცვლად უფრო ზორბა ემილ ნტამაკი იქნება, რომელიც სკრელას დროს მე-15 ნომრად თამაშობდა. კრისტოფ დომინისიმ მეორე ფრთაზე ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ ამაში გარკვეული როლი, ალბათ, მისმა სტადფრანსელობამაც ითამაშა.

მორკინალმა და გუნდის კაპიტანმა რაფაელ იბანესმა თავისი სამკლავური ფაბიენ პელუს გადააბარა და შეიძლება საერთოდაც ამოვარდეს ძირითადი შემადგენლობიდან. მეორეხაზელმა აბდელატიფ ბენაზიმ შერკინების მესამე ხაზში გადაინაცვლა. შუასამმეოთხედელებად კი ბერნარ ლაპორტმა რიშარ დურთი და ტომა ლომბარი შეიგულა, რომლებიც სწრაფ და მოძრავ ტომა კასტანიედსა და სტეფან გლაზე გაცილებით ჯანიანები არიან. სკრელას იდეების მომხრე, ნაკრების გენერალური მენეჯერი ჟო მაზოც კი, რომელიც გამოუსწორებელი ოპტიმისტია და მსოფლიოს თასის მოგებასაც ვარაუდობდა, დაფრთხა და მეტი სიდინჯით ალაპარაკდა. „ტურნირის მოგება? ჩვენ სამი მატჩი გვაქვს შინ გასამართი და კარგი იქნება, თუ სამჯერვე გავიმარჯვებთ. სტუმრად (უელსთან და შოტლანდიასთან) იქნებ ერთი მაინც მოვიგოთ“ — საკმაოდ მორიდებულად თქვა მაზომ.

ფრთხილობს ახალი კაპიტანი ფაბიენ პელუც: „ჩვენ ნამდვილად არ ვართ აშკარა ფავორიტები. მსოფლიოს თასის ფინალში თამაშმა გამოცდილება და თვითრწმენა კი შეგვმატა, მაგრამ ეს საკმარისი არაა“.

შაბათს, კარდიფის „მილენიუმზე“ გამოჩნდება, რამდენად გამართლებულია ბერნარ ლაპორტის მიერ განხორციელებული ცვლილებები. ისე, საგანგებოდ მსოფლიოს თასისთვის აგებულ ამ სარბიელზე საფრანგეთმა ორი მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა. ჯერ უელსთან ტესტში, შემდეგ კი ავსტრალიასთან ფინალში.

**გაიოზ თალაქვაძე**



# ჯორდანი ფერზე და მადაზეა

## ჯორდან-მუგენ-ჰონდა



დაარსდა 1980 წელს
პრეზიდენტი ედი ჯორდანი
ტექნიკური დირექტორი მაიკ გესკოინი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი
პირველი გამარჯვება: 1998, ბელგიის დიდი პრიზი, დეიმონ ჰილი
146 რბოლა, 3 გამარჯვება, 2 პოული, 2 სწრაფი წრე, 216 ქულა
1999 — კონსტრუქტორთა შორის მე-3 ადგილი, 61 ქულა
შასი ჯორდან EJ-10
ძრავი მუგენ-ჰონდა MF301HE



ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი

გერმანია

დაიბადა 1967 წლის 18 მაისს მიუნჰენგლადბახში
სიმაღლე 178 სმ, წონა 64,5 კგ
უცოლო, ჰყავს მეგობარი გოგონა ტანია, ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ბრაზილიის დიდი პრიზი (ზაუბერი)
პირველი გამარჯვება: 1997, სან მარინოს დიდი პრიზი (უილიამსი)
97 რბოლა, 3 გამარჯვება, 2 პოული, 6 სწრაფი წრე
1999 წელს დაიკავა მე-3 ადგილი, 54 ქულა
ასპარეზობდა: ზაუბერი — 1994-96, უილიამსი — 1991-98, ჯორდანი — 1999



იარნო ტრული

იტალია

დაიბადა 1974 წლის 13 ივლისს პესკარაში
სიმაღლე 173 სმ, წონა 60 კგ
უცოლო, ცხოვრობს ფრანკავილაში (იტალია)
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი (მინარდი)
46 რბოლა, 11 ქულა
ასპარეზობდა: მინარდი — 1997, პროსტი 1997-99,
1999 წელს დაიკავა მე-11 ადგილი, 7 ქულა

შარშან ედი ჯორდანის გუნდმა ჩემპიონატი მე-3 ადგილზე დაასრულა. მისი პილოტი, ფრენცენი კი ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტადაც იქცა. ჯორდანელებს იმედი აქვთ, რომ წლეულს, მათთვის მე-10, საიუბილეო სეზონში კიდევ უფრო უკეთ იასპარეზებენ. სწორედ ამ იუბილესთან დაკავშირებით შეიცვალა მათი შასის ინდექსი — EJ-10 (ედი ჯორდან-10).

ახალი ბოლიდი შესახედავადაც განსხვავდება წინამორბედისგან. მას უფრო შებრტყელებული ცხვირი აქვს და საჰაეროც სამკუთხა ფორმისაა. გაუმჯობესებულია აეროდინამიკა, წინა თვლების შეკიდულობა, ძრავიც, რომელსაც სიმძიმის ცენტრი უფრო დაბლა აქვს, რაც ბოლიდის უკეთ ბალანსირებას შეუწყობს ხელს.

გუნდში ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და იარნო ტრული იასპარეზებენ, რომელთაც ტესტირებაში ტომას ენგე დაეხმარებათ.

ედი ჯორდანი ფიქრობს, რომ მის ორივე პილოტს შეუძლია რბოლების პოდიუმზე დასრულება. ამასთან ტრული კონკურენციას გაუწევს ფრენცენს, რაც უფრო შეაგულიანებს გერმანელს, ორივე ერთად კი შეძლებს, ბრძოლა გაუმართონ ფერარისა და მაკლარენს.

ახალი ბოლიდის მომზადებით კმაყოფილია გუნდის ტექნიკური დირექტორი მაიკ გესკოინიც. მისი აზრით, გუნდი თავის შესაძლებლობებს სრულად არ იყენებდა და იმედოვნებს, რომ წლეულს ამას გააკეთებს.

ასე რომ, „ყვითლები“ (ჯორდანის ბოლიდების ფერი) საბრძოლველად მზად არიან და უკვე შეუდგნენ ახალი ბოლიდის მორჯულებას ესპანეთისა და ბრიტანეთის ტრასებზე.




REUTERS

ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, ედი ჯორდანი, იარნო ტრული და ახალი „ჯორდანი“

ფიგურული სრიალი

# ვახტანგიც ჩვენია, საშაც და ჟენიაც

ხვალიდან, მთელი კვირა, ფიგურული სრიალის მოყვარულებს საქმე გაუჩნდება — ვენაში კონტინენტის პირველობა იწყება. ავსტრიაში საქართველოს სახელითაც იასპარეზებენ. ვგულისხმობთ ვახტანგ მურვანიძესა და ალექსანდრ ჩისნიხ-ევგენია ფილონენკოს სპორტულ წყვილს.

ჩემპიონატისთვის სამივე დიდი ხანია, უცხოეთში ემზადება. რამდენიმე წელიწადია, მურვანიძე მოსკოვში ცხოვრობს და ვარჯიშობს. წლეულს ის სულაც ცნობილ მწვრთნელთან, ელენა ჩაიკოვსკაიასთან გადავიდა, რომლის შვიდკაციან ჯგუფშიც მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი მარია ბუტირსკაია და ბრინჯაოსმედალოსანი იულია სოლდატოვა ირიცხებიან. ვახტანგმა დეკემბერში ისრაელში ისრიალა ამ ქვეყნის თასის ღია გათამაშებაში და მეხუთე ადგილიც დაიკავა.

რაც შეეხება ჩისნიხ-ფილონენკოს წყვილს, ის ერთი წლის წინ შეიქმნა. ფილონენკო დნეპროპეტროვსკელია, უკრაინელი, მისი მეწყვილე კი მოსკოველი რუსი. დუეტის შექმნის მერე მათ საცხოვრებლად მოსკოვი ირჩიეს. აი, სავარჯიშოდ კი ისიც ეცოტავათ და რამდენიმე თვეა, ნინა მოზერის ხელმძღვანელობით იტალიაში ემზადებიან. საქართველოს სახელით მათი დებიუტი ზაგრებში შედგა, ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. ისინი ევროპის ჩემპიონატის მერეც აპენინებზე გააგრძელებენ მზადებას მსოფლიოს პირველობისთვის.

ირაკლი თავაძე

თხილამურობა

# დელი არ არის, ჯერჯერობით ალსგარდი მღერის დელი-დელას


REUTERS ტრონჰეიმიდან

მიკა მულულა

კარგა ხნის შესვენების შემდეგ ნორვეგიაში, ტრონჰეიმში გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშების მეათე ეტაპი თხილამურებით რბოლაში. მართალია, წლევანდელი სათხილამურო სეზონი რამდენიმე მიზეზის გამო ნაკლულადაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ თასისთვის არ იბრძვის ნორვეგიელთა და არა მარტო ნორვეგიელთა, მთელი სათხილამურო სამყაროს სიამაყე, რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბიორნ დელი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს სათხილამურო ტრასებზე სიმშვიდეს. წლევანდელ შეჯიბრებებს ცეცხლი იმანაც მოაკლო, რომ სეზონი მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის გარეშე ჩაივლის, მაგრამ სანაცვლოდ ზემოხსენებული შეჯიბრებების მისადგომებთან სავსებით შესაძლებელია ახალი სახელების, ახალი ტალანტების გამოჩენა. სხვათა შორის, წლევანდელი გათამაშება ამის დასტურია. როცა პირველივე ეტაპებზე პრიზიორთა შორის გაიელვა ესპანურმა გვარმა, ეს ყველამ, ცხადია, შემთხვევითობად ჩათვალა. ესპანელი მულეგის შემდგომი წარმატებები უკვე სენსაციად მოინათლა. ახლა კი, როცა უკან დარჩა თასის ათი ეტაპი, საერთო ჩათვლაში მულეგის მეორე ადგილს სპეციალისტები უკვე კანონზომიერად მიიჩნევენ.

ეს ეტაპი (10 კმ) მოიგო ფინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა მიკა მულულამ. მეორე იყო შვედების იმედი პერ ოლაფსონი, მესამე — იტალიელი პიეტრო პილერი. მეხუთე მივიდა ფინიშთან იოჰან მულეგი, და მხოლოდ მეცამეტე — თასის ახლანდელი ლიდერი, ნორვეგიელი ტომას ალსგარდი.

ქალები 5 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ. კვლავ გაიბრწყინა ვეტერანმა სტეფანია ბელმონდომ. გასაოცარია ამ „უბერებელი“ იტალიელის ძალა და შემართება. ამ სპორტსმენის დახასიათებისას მის ყველაზე მთავარ ღირსებად გუნდურ ასპარეზობაში განსაკუთრებით ძლიერად გამოსვლას აღნიშნავენ. ჭეშმარიტად — გუნდისთვის ყველაფრის გალება პირადულის ხარჯზე მხოლოდ ნამდვილად უძლიერესთა, ღირსეულთა ხვედრია. მეორე მივიდა ფინიშთან რუსი ნინა გავრილიუკი, მესამე — მისივე თანაგუნდელი იულია შეპალოვა.

| | |
|---|---|
| კაცები | |
| 1 ტომას ალსგარდი (ნორვეგია) — | 461 ქ |
| 2 იოჰან მულეგი (ესპანეთი) — | 447 |
| 3 ესპენ ბიერვიგი (ნორვეგია) — | 347 |
| ქალები | |
| 1 კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — | 577 |
| 2 ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) — | 556 |
| 3 ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — | 495 |

# მშვენიერ მუხლებს ძალა აღგებათ

მუხლებ და წვივებდამტვრეულ სამთომოთხილამურე ქალთა გრძელ სიას 24 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი ჰილდე გერგიც შეემატა. ჰილდემ სეზონის დასაწყისშივე დაიწყვიტა მუხლის მყესები. ახლა სულაც გადაიმტვრია წვივი. თასის შარშანდელი მფლობელი ალექსანდრა მაიზნიცერი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი შვედი პერნილა ვიბერგი, ამომავალი ვარსკვლავი, ხორვატი იანიკა კოსტელიჩი და კიდევ ბევრი სხვა...

სია შთამბეჭდავია, მაგრამ მეტისმეტი ხომ არაა?


ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და ბუნებრივი გაზით სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23


ჰოკეი



REUTERS სანრაისიდან

ფლორიდელ პაველ ბურეს მონრეალელ მეურვეებს შავი დღე დაადგათ

# რუსულმა რაკეტამ მონრეალი ააფეთქა

2 თებერვალი

**ფლორიდა — მონრეალი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ბურე 4'06 (36); 1:1 ჟოლტოკი 34'38 (15); 2:1 ბურე 36'01 (37); 3:1 კოზლოვი 53'17 (14)

**აილენდერსი — ნეშვილი 4:6**

1:1 2:4 1:1

0:1 სკრასტინში 1'17 (2); 1:1 ჩერკავსკი 16'06 (18); 2:1 კონოლი 25'03 (8); 2:2 ბორდელო 27'53 (4); 2:3 ბუშარი 28'21 (1); 2:4 ჩელბერგი 29'48 (18); 2:5 ჩელბერგი 31'31 (19); 3:5 გრინი 38'16 (5); 4:5 გრინი 52'49 (6); 4:6 რონინგი 54'28 (18)

**რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 1:3**

0:0 1:2 0:1

1:0 გრეივსი 22'08 (17); 1:1 სელიაში 32'23 (22); 1:2 ლემიე 39'04 (18); 1:3 არნოტი 54'32 (15)

**დალასი — ატლანტა 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 მოდანო 36'29 (21); 2:0 კარბონო 51'16 (7); 2:1 ბრიუნეტი 57'54 (19)

**ედმონტონი — ჩიკაგო 4:1**

0:0 2:0 2:1

1:0 უეიტი 32'29 (11); 2:0 გრირი 35'42 (7); 3:0 მორო 45'03 (12); 3:1 ოლჩიკი 47'11 (2); 4:1 ნიინიმაა 58'11 (6)

შარშან, ერთმა მეგოლემაც ვერ გადალახა 50-შაიბიანი ზღვარი. წლეულს, იმედია, ასე არ მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ფლორიდელი პაველ ბურე ყველაფერს აკეთებს ამისათვის. ოთხშაბათს მონრეალთან მატჩის შემდეგ „რუსული რაკეტა“ კიდევ უფრო მიუახლოვდა მიზანს. „საოცარია, მეურვეებს ასე ოსტატურად როგორ უძვრება ხელიდან. ყველამ ხომ იცის, რომ იგი ყინულზეა, მაგრამ... თვალსა და ხელს შუა ქრება, მერე ისევ ჩნდება და ასეა დაუსრულებლად“ — ვერ ფარავს აღფრთოვანებას ფლორიდელთა მწვრთნელი ტერი მიურეი და ძნელია მას არ დაეთანხმო. თუნდაც გუშინწინდელი მატჩი ავიღოთ. მონრეალელებმა ხომ კარგად იცოდნენ, რომ ბურემ წინა ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ახლა განსაკუთრებით მოიწადინებდა. დიახ, იცოდნენ, მაგრამ მის შესაჩერებლად ვერაფერი იღონეს. ორჯერ მეურვეებს გაქცეულმა ბურემ მეკარე ჟოზე თეოდორი დაიბრიყვა, კიდევ სამჯერაც, ეტყობა, შეიბრალა, თორემ ჰეთ თრიქს აუცილებლად გამოჰკრავდა ხელს.

პაველმა მთავარ მიზანს მაინც მიაღწია — 37 შაიბით კვლავ ბომბარდირი გახდა და „ოლ სტარამდე“ დარჩენილ 4-დღიან შესვენებას ჩინებული განწყობით შეხვდა.

ცხადია, „რაკეტას“ საწვავი კვლავ ვიქტორ კოზლოვმა (1+2) მიაწოდა, ხოლო თავისი გოლი რუსმა რეი უიტნის პასით გაიტანა.

რეინჯერსი ბოლო ხანს კონტრშეტევებში დახელოვნდა და რამდენიმე მეტოქეს სწორედ ამ იარაღით სძლია, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა, ვინაიდან მას ამ საქმეში კიდევ უფრო გაწვრთნილი ნიუ ჯერსი ეწინააღმდეგებოდა. ნიუიორკელები თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ „ეშმაკთა“ მეკარე მარტინ ბროდო (36 მოგერიება) საიმედოდ იდგა. თავის მხრივ ნიუ ჯერსიმ სამი კონტრშეტევა გოლებით დაასრულა და რეინჯერსთან წარმატებული სერია 17 თამაშამდე გააგრძელა.

ატლანტამ სეზონში საუკეთესო მატჩი ითამაშა, მაგრამ დალასთან პაექრობაში ამანაც არ უშველა. შეხვედრის ბოლო მესამედში ჩემპიონს გაუჭირდა. მეტოქეებმა 18-ჯერ დაარტყეს, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გაიტანეს და მეტად საწყენია, რომ ლიგის დებიუტანტები უქულოდ გი კარბონოს შემთხვევითი შაიბის გამო დარჩნენ.

ლიგის ყველაზე ხანდაზმული ჰოკეისტი, 40 წლის გი გადამწყვეტი გოლების სპეციალისტი გახდა, თუმც ამჯერად შაიბა ჯერ მის ციგურას მოხვდა, მერე წაქცეული მცველის იანიკ ტრამბლეს ჩაფხუტს და აქედან ასხლეტილი შევარდა კარში.

რაც აილენდერსის კაპიტანმა კენი იუნსონმა წინა მატჩში ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო, გუნდის ისედაც სუსტი დაცვა სულ დაიშალა — სამ წუთში ნეშვილს ოთხი გოლი გაატანინა. „რა მექნა, ისე ხშირად ურტყამდნენ, მოგერიებასაც ვერ ვასწრებდი“ — წუხდა თამაშის შემდეგ ნიუიორკელთა შავკანიანი მეკარე კევინ უიქსი.

სამველ ლარიბიანი

ALL STAR GAME 2000

# ოლ სტარი შიაგროდ და შჰამმკოდ?



ოლ სტარს თვალჩალილავებული პეტერ ფორსბერგიც გამოაკლდება

წლევანდელი „ოლ სტარი“ რომ 6 თებერვალს ჩატარდება, ეს უკვე გაცნობეთ. ჩრდილო ამერიკის და დანარჩენი მსოფლიოს 25-25 კაციანი შემადგენლობაც უკვე კარგა ხანია, გამოქვეყნდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ტორონტოში გუნდები ყინულზე ზუსტად ამ შემადგენლობით გავლენ. ახლავე ცნობილია, რომ კოლორადოელი პეტერ ფორსბერგი და სენტლუისელი პიერ ტარჯონი არ ითამაშებენ გამოტოვებენ. საეჭვოა კიდევ ერთი ბლუზმენის ელ მაკინისის მონაწილეობაც (სამივეს ტრავმებზე უკვე გაუწყეთ). თუმცა მოსალოდნელია, „ოლ სტარის“ შოუს სხვებიც გამოაკლდნენ. ცნობილი გახდა, რომ ლიგის ორი მშვენება პიტსბურგელი იარომირ იაგრი და ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკიც არ აპირებენ თამაშს. ოთხშაბათს ატლანტასთან მატჩში იაგრს ცერა თითი დაუზიანეს, თუმცა მთავარმა „პინგვინმა“ მომდევნო შეხვედრა არ გამოტოვა და დაზიანებული თითითაც საუკეთესო იყო თავის გუნდში. მაგრამ მას თურმე ეშინია, ტრავმის გართულების და შაბათ-კვირას ტორონტოში ჩასვლასა და ასპარეზობას დასვენება არჩია. „იქნებ თითი მოტეხილი მაქვს, ამიტომაც არ ვარ დარწმუნებული, რომ თამაშს შევძლებ“ — ყოყმანობს იაგრი.

დომინიკ ჰაშეკმა სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ითამაშა. „მატჩის შემდეგ ოდნავ ვიგძენი ტკივილი, რაც ხანგრძლივი დასვენების გამო მოსალოდნელიც იყო“.

— „დომინიკს არ სურს გარისკვა და ტრავმის კვლავ გართულება ისეთ შეხვედრაში, რომელიც სატურნირო ვითარებას არც ცვლის“ — განაცხადა ჰაშეკის აგენტმა რიჩ ვინტერმა „CHED RADIO“-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

თუ ჰაშეკი არ ითამაშებს, მას სენტლუისელი მეკარე, თვისტომი რომან ტურეკი შეცვლის, ხოლო იაგრს, სავარაუდოდ — ასევე ჩეხი პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი).




იყიდება

როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65

დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-18 ტური

4 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 052 დორტმუნდი-კაიზერსლაუტ. | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 053 ჰანზა-ჰერტა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 054 არმინია-შალკე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 055 ლევერკუზენი-დუისბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 056 ლევერკუზენი-დუისბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 057 ფრაიბურგი-ულმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 058 ვერდერი-შტუტგარტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 059 მიუნხენ 1860-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 060 უნტერჰახინგი-აინტრახტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 061 ჰამბურგი-ბაიერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

7 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 062 ფიურტი-ალემანია | 1,9 | 2,8 | 3,8 |

ინგლისი. პრემიერლიგა. 24-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 063 ასტონ ვილა-უოტფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 064 ასტონ ვილა-უოტფორდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 065 ბრედფორდი-არსენალი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 066 დერბი-უენსდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 067 ლესტერი-მიდლსბრო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 068 ლივერპული-ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 069 მანჩესტერი-ქოვენტრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 070 მანჩესტერი-ქოვენტრი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 071 საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 072 სანდერლენდი-ნიუკასლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 073 ტოტენჰემი-ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 074 უიმბლდონი-ევერტონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

ინგლისი. I დივიზიონი. 30-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 075 ბარნსლი-იფსვიჩი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 076 ბოლტონი-ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 077 ქრიუ-ბირმინგემი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 078 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 079 ჰადერსფილდი-პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 080 ჰადერსფილდი-პორტსმუთი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 081 ნორვიჩი-უოლსოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 082 ნოტინგემი-მანჩესტერ სიტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 083 პორტ ვეილი-ქუინზ პარკი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 084 შეფილდი-ტრანმერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 085 სტოკპორტი-ჩარლტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 086 სუინდონი-გრიმსბი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 087 ვულვერჰემპტონი-კრ.პალასი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

ინგლისი. II დივიზიონი. 30-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 088 ბრენტფორდი-ნოტსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 089 ბრისტოლი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 090 ბარნლი-როვერსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 091 კემბრიჯი-უიგანი | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 092 კოლჩესტერი-ბერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 093 ჯილინგემი-სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 094 ლუტონი-ბორნმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 095 მილუოლი-ოლდემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 096 ოქსფორდი-ბლექპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 097 პრესტონი-რედინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 098 პრესტონი-რედინგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 099 სკანთორპი-კარდიფი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 100 რექსემი-უიკომბი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ინგლისი. III დივიზიონი. 30-ე ტური

4 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 101 მენსფილდი-ექსეტერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 102 სუონსი-ლინკოლნი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 103 ბარნეტი-ჩელტენემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 104 ჰარტლპული-შრიუსბერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 105 ჰალი-ბრაიტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 106 ლეიტონი-საუთენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 107 ნორთჰემპტონი-იორკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 108 პლიმუთი-კარლაისლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 109 როჩდეილი-ჩესტერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 110 როჩდეილი-ჩესტერი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 111 როტერჰემი-მაკლსფილდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 112 ტორკი-ჰალიფაქსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 113 დარლინგტონი-პიტერბრო (17$^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 114 პსჟ-ნანტი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 115 ტრუა-სედანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 116 ლანსი-ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 117 ბასტია-სენტ ეტიენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 118 რენი-ნანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 119 ბორდო-სტრასბური | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 120 მონპელიე-ლე ავრი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 121 მეცი-მარსელი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 122 ლიონი-მონაკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 123 ლე მანი-გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 124 ტულუზი-ამიენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 125 ტულუზი-ამიენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 126 კაენი-ლორიანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 127 კანი-ვალანსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 128 აიაჩო-ნიმი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 129 ლუანი-გინგამი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 130 შატორუ-ლავალი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 131 ვასკალი-ლილი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 132 კრეტეი-ნიცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 133 ნიორი-სოშო | 2,4 | 2,8 | 2,7 |

იტალია. სერია "ა". მე-20 ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 134 კალიარი-პერუჯა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 135 უდინეზე-იუვენტუსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 136 ლეჩე-პიაჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 137 მილანი-ბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 138 მილანი-ბარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 139 პარმა-ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 140 რეჯინა-ბოლონია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 141 რომა-ვენეცია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 142 რომა-ვენეცია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 143 ტორინო-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 144 ვერონა-ფიორენტინა | 2,7 | 2,8 | 2,4 |

იტალია. სერია "ც1/ა". მე-22 ტური

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 145 ალბინოლეფე-კარარეზე (17$^{30}$) | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| 146 ბრეშელო-მოდენა (17$^{30}$) | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 147 კრემონეზე-ვარეზე (17$^{30}$) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 148 ლეკო-ლუმეცანე (17$^{30}$) | 1,9 | 2,5 | 4,2 |
| 149 ლუკეზე-ჩიტადელა (17$^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 150 პიზა-მონტევარკი (17$^{30}$) | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 151 პიზა-მონტევარკი (17$^{30}$) 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 152 სანდონა-კომო (17$^{30}$) | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 153 სიენა-ლივორნო (17$^{30}$) | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 154 სიენა-ლივორნო (17$^{30}$) 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 155 სპალ-რეჯანა (17$^{30}$) | 1,7 | 2,7 | 5,6 |

იტალია. სერია "ც1/ბ". მე-22 ტური

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 156 არეცო-აველინო (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 157 ატლეტიკო-ლოდიჯანი (17$^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 158 ბენევენტო-ასკოლი (17$^{30}$) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 159 დი სანგრო-სტაბია (17$^{30}$) | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 160 ფანდრია-ანკონა (17$^{30}$) | 3,2 | 2,5 | 2,3 |
| 161 გულდო-პალერმო (17$^{30}$) | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 162 მარსალა-კროტონე (17$^{30}$) | 3,6 | 2,5 | 2,1 |
| 163 ნოჩერინა-კატანია (17$^{30}$) | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 164 ვიტერბეზე-ჯულიანოვა (17$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |

ესპანეთი. I დივიზიონი. 23-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 165 ვალენსია-ბეტისი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 166 რაიო ვალეკანო-სელტა (15$^{00}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 167 მალიორკა-სოსიედადი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 168 ატლეტიკო-სარაგოსა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 169 სევილი-რასინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 170 ოვიედო-ესპანიოლი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 171 ბარსელონა-ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 172 ბარსელონა-ალავესი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 173 მალაგა-ვალიადოლიდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 174 ბილბაო-ნუმანსია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 175 დეპორტივო-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 25-ე ტური

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 176 ხეტაფე-ელჩე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 177 ლას პალმასი-ტოლედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 178 ლას პალმასი-ტოლედო 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

6 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 179 ოსასუნა-ლეგანესი (15$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 180 ესტრემადურა-ეიბარი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 181 ბადახოსი-ვილიარეალი | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 182 ალბასეტე-ლევანტე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 183 სალამანკა-ტენერიფე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 184 ლეიდა-სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 185 ლოგრონიესი-ულვა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 186 კორდობა-მერიდა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 187 კომპოსტელა-ატლეტიკო "ბ" | 1,9 | 2,9 | 3,6 |

პორტუგალია. მე-19 ტური

4 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 188 ბელენენსეში-ბოავიშტა | 2,6 | 2,8 | 2,5 |

5 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 189 მარიტიმუ-სეტუბალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 190 მარიტიმუ-სეტუბალი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 191 კამპომაიორენსე-ალვერკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 192 პორტუ-ბრაგა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 193 პორტუ-ბრაგა | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 194 სპორტინგი-ფარენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 195 სპორტინგი-ფარენსე | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 6 თებერვალი | | | |
| 196 ლეირია-ჟილ ვისენტე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 197 სალგეირუში-რიუ ავე | '1,9 | 2,9 | 3,6 |
| 198 ბენფიკა-სანტა კლარა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 199 ბენფიკა-სანტა კლარა | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 200 გიმარაეში-ამადორა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ჰოლანდია | | | |
| 4 თებერვალი | | | |
| 201 უტრეხტი-მაასტრიხტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 5 თებერვალი | | | |
| 202 ჰერენვენი-ალკმაარი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 203 ნაიმეგენი-გრააფსხაპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 204 ტილბურგი-ტვენტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 205 სპარტა-ვიტესი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 6 თებერვალი | | | |
| 206 აიაქსი-კამბური | (17$^{30}$) | 1,15 | 5,6 |
| 10,0 | | | |
| 207 აიაქსი-კამბური | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 208 დენ ბოსხი-ეინდჰოვენი (17$^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 209 ვალვაიკი-სიტარდი (17$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 210 ფეიენოორდი-როდა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბელგია. მე-22 ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 211 გენკი-შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 212 გენკი-შარლერუა | | | |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 213 გენტი-მუსკრონი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 214 მეხელენი-ლიერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 215 ვესტერლო-ბევერენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 6 თებერვალი | | | |
| 216 აალსტი-სენტ ტრუიდენი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 217 ჰარელბეკე-ლომელი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 218 სტანდარდი-გეელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 219 სტანდარდი-გეელი | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 220 ანდერლეხტი-ბრიუგე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| საბერძნეთი. მე-18 ტური | | | |
| 6 თებერვალი | | | |
| 221 ოფი-კალამატა (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 222 ოფი-კალამატა | | | |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 223 აეკ პაოკ (17$^{00}$) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 224 არისი-ქსანთი (17$^{00}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 225 ტრიკალა-პანათინაიკოსი (17$^{00}$) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 226 იონიკოსი-პანაჰაიკი (17$^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 227 კავალა-ეთნიკოსი (17$^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 228 ოლიმპიაკოსი-პროდეფტიკი (17$^{00}$) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 229 ოლიმპიაკოსი-პროდეფტ. | | | |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 230 აპოლონი-ირაკლისი (17$^{00}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 231 პანილიაკოსი-პანიონიოსი (17$^{00}$) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| თურქეთი. მე-19 ტური | | | |
| 4 თებერვალი | | | |
| 232 სამსუნი-ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 5 თებერვალი | | | |
| 233 ბურსა-ისთანბული (15$^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 234 გენჩლერბირლიგი-დენიზლი (15$^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 235 ქოჯაელი-ფენერბაჰჩე | 4,0 | 3,0 | 1,8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 თებერვალი | | | |
| 236 ერზურუმი-ვანი (14$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 237 ადანა-ანკარაგიუჯუ (15$^{30}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 238 ანთალია-გაზიანთეფი (15$^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 239 გიოზთეფე-ალთაი (15$^{30}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 240 გალათასარაი-ტრაბზონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| შოტლანდია. 21-ე ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 241 აბერდინი-სენტ ჯონსტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 242 სელტიკი-ჰართსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 243 სელტიკი-ჰართსი | | | |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 244 მოზერველი-დანდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 6 თებერვალი | | | |
| 245 ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| აფრიკის თასი. 1/4 ფინალი | | | |
| 6 თებერვალი | | | |
| 507 კამერუნი-ალჟირი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 508 ს.აფრიკა-განა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 7 თებერვალი | | | |
| 509 ეგვიპტე-ტუნისი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 510 ნიგერია-სენეგალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 861 იტალია-შოტლანდია | 3,8 | 7,0 | 1,2 |
| 862 ინგლისი-ირლანდია | 1,1 | 7,0 | 5,6 |
| 863 უელსი-საფრანგეთი | 2,5 | 7,0 | 1,4 |
| კალათბურთი | | | |
| 4 თებერვალი | | | |
| 864 ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 865 მაიამი-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 866 ატლანტა-პორტლენდი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 867 დეტროიტი-კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 868 ინდიანა-საკრამენტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 869 მინესოტა-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 870 ლეიკერსი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 871 გოლდენ სტეიტი-დენვერი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 872 სიეტლი-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 873 ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 5 თებერვალი | | | |
| 874 ვაშინგტონი-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 875 ორლანდო-ინდიანა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 876 კლივლენდი-ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 877 მილუოკი-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 878 დენვერი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 879 კლიპერსი-დალასი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 6 თებერვალი | | | |
| 880 ბოსტონი-პორტლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 881 ნიუ იორკი-მაიამი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 882 ნიუ ჯერსი-გოლდენ სტეიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 883 ფილადელფია-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 884 დეტროიტი-ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 885 იუტა-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 886 ფინიქსი-სიეტლი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 887 კლიპერსი-ჩიკაგო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 888 ვანკუვერი-დალასი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 7 თებერვალი | | | |
| 889 ორლანდო-გოლდენ სტეიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 890 ინდიანა-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 891 მილუოკი-პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 892 ლეიკერსი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ჰოკეი. ევროლიგა | | | |
| 5 თებერვალი | | | |
| 893 ტურკუ-მეტალურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 894 ლუგანო-სპარტა | 2,2 | 4,4 | 1,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

რეგულარული ჩემპიონატი

# ახალი ბურთი კარგად ხტის

2 თებერვალი

**სიეტლი 81:88 ჩიკაგო**

სიეტლი: პეიტონი (12 ქულა, 11 პასი), ბერი (13), პატერსონი (11), ბეიკერი (19), გრანტი (10); დევისი (6), მაკკოი (5), ლუისი (5), ვილიამსი

ჩიკაგო: ბრაუნი (7), არტესტი (24), კუკოჩი (31), ბრენდი (10), სიმპკინსი (8 ქულა, 10 მოხსნა); ჰოკინსი (4), კარი (4), მელონი (2), რუფინი

რეგულარული ჩემპიონატის ნახევარი წინაა და ცოტა არ იყოს, ნაადრევია, ვოვა სტეფანიას გუნდ „სიეტლ სუპერსონიქსისთვის“ ამ სეზონს წარმატებული ეწოდოს. ერთს კი ნამდვილად ვერ დაუკარგავს კაცი ამ გუნდს, ეს „ზებგერთების“ არასტაბილური თამაშია. „სიეტლი“ ხასიათის გუნდია. უნდა, „იუტა ჯაზს“, ანაც „ლეიკერსს“ გააკრავს ბეჭებზე მისსავე მოედანზე, მეორე დღეს კი არაა გამორიცხული, რომელიმე უხეირომ სიეტლშივე შეარცხვინოს. „სიეტლს“ მაინც ვერ უსწავლია ჭკუა და აი, ორ თებერვალს შინ თავლაფი დაისხა „ჩიკაგოსთან“, რომელსაც წლევანდელ სეზონში მთელ ლიგაში ყველაზე ცოტა თამაში მოუგია. წინა დღით კი სტეფანიას გუნდმა თვით „იუტას“ მოუგო სოლტ ლეიკ სიტიში. აქ თავში ერთი აზრი მოგივა: სიეტლელები „იუტა ჯაზთან“ ჭიდილმა დაღალა და მეორე დღეს იმიტომ წააგესო. შეიძლება არც იყოს, მაგრამ აქ უფრო ის ვერსია გამოდგება, რომ „სიეტლი“ სერიოზულად არ მოეკიდა ერთ შეხედვით ამ უფხო მეტოქესთან თამაშს და ამისთვის კიდეც დაისაჯა. აქ არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ იმ დღეს თვით „ჩიკაგომაც“ მშვენივრად ითამაშა, სტუმრებმა ალბათ გაიხსენეს როგორ ამარცხებდა დიდი „ჩიკაგო“ 1996 წლის პლეი ოფის ფინალში „სიეტლს“ და იქნებ ამანაც გაუღვივა „ხარებს“ გამარჯვების რწმენა.

იმ დღეს ერთი კაცი ნამდვილად ვერ იყო ფორმაში, მაშინ, როცა ყველა სწორედ მისგან ელოდა თამაშის ბედის შემოტრიალებას. ცხადია, იგულისხმება „სიეტლის“ ლიდერი, მთავარი ბომბარდირი, მეპასე, დამცველი, ერთი სიტყვით, გუნდის სახე, სული და გული, გერი პეიტონი. ეს უდავოდ არ იყო მისი საუკეთესო მატჩი. მას მონდომებაც აკლდა, თუმც საკმაოდ ბევრჯერ ისროლა, მაგრამ ვერ შეძლო ქულების იმ რაოდენობით დაგროვება, რამდენიც სჩვევია. თამაშის ჩაფლავებაში პეიტონს მეურვე რონ არტესტიც „დაეხმარა“. ჩიკაგოელს მჭიდრო და ზუსტი თამაშით განერვიულებულმა გერიმ 18 სროლიდან მხოლოდ ხუთი ჩააგდო. არადა, არტესტი ახალბედაა, პეიტონს კი ხანგრძლივ კარიერაში რა არ უნახავს. ჩიკაგოელმა მოულოდნელად შეტევაშიც გამოაჩინა კლანჭები. მისი 24 ქულა კარგად წაეხმარა „ჩიკაგოს“, რომლის ლიდერმა და მთავარმა მარბიელმა ტონი კუკოჩმა პირდაპირ გააწამა თავისი მეურვეები და სეზონის საუკეთესო მატჩიც ითამაშა.

**გოლდენ სტეიტი 101:75 ვანკუვერი**

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (25 ქულა, 10 პასი), ჯემისონი (21)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (25 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 114:68 კლიპერსი**

ფინიქსი: რობინსონი (21)

კლიპერსი: ნესბი (17)

**დენვერი 135:112 მილუოკი**

დენვერი: ვან ექსელი (28 ქულა, 11 პასი), მაკდაიესი (26 ქულა, 10 მოხსნა)

მილუოკი: ალენი (22), კასელი (21)

**ნიუ ჯერსი 89:97 ატლანტა**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (28 ქულა, 10 მოხსნა)

ატლანტა: რაიდერი (25), ჰენდერსონი (22)

**დეტროიტი 110:113 საკრამენტო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (35) მილზი (24)

საკრამენტო: ვებერი (39 ქულა, 10 მოხსნა), ვილიამსი (23 ქულა, 11 პასი)




REUTERS დენვერიდან

დენვერი — მილუოკი. დენვერელმა ტარიკ აბდულ-ვაჰადმა (თეთრ ფორმაში) ერვინ ჯონსონს (№40) დაასწრო

**ვაშინგტონი 103:93 მინესოტა**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (19)

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 11 მოხსნა), ჯეკსონი (21)

**ბოსტონი 103:105 მაიამი**

ბოსტონი: უოლკერი (35), პირსი (27 ქულა, 10 მოხსნა)

მაიამი: მურნინგი (23), მაშბურნი (23)

კლივლენდში მარცხიანი დებიუტის შემდეგ „ვაშინგტონის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, კლუბის ახალი თანამთლობელის, მაიკლ ჯორდანის რჩეულმა დარელ უოლკერმა თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა, რომელიც ლამის ტრიუმფად შერაცხეს, რადგან „ვიზარდსმა“ თვით „მინესოტას“ მიუგო. „ვაშინგტონის“ დარბაზ „MCI სენთერში“ იმ დღეს მოგროვილმა 14 ათასმა დედაქალაქელმა რამდენიმეწუთიანი ოვაცია გაუმართა ახალ მწვრთნელს, რომლის ხელში ამ დაქცეულმა გუნდმა „მინესოტას“ ყელი გამოსჭრა. არადა, „ჯადოქრების“ მეტოქე გუნდი ახლა მშვენიერ ფორმაშია. „მინესოტას“ ლიდერი კევინ გარნეტი ერთი დღის წინ გასული თვის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა კი თვის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული არავის დაანება.

ახალმა მწვრთნელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი მთელი თამაშის განმავლობაში არ გაჰკარებია სკამს. ენერგიულად ტრიალებდა და ყველა შეგირდს, რომელთაგან ზოგიერთი მასზე სულ ოთხი-ხუთი წლითაა უმცროსი, ლამის სიტყვასიტყვით დაუმარცვლა თამაშის დროს რა და როგორ ეკეთებინა. ჩვენმა ოკეანის გაღმელმა კოლეგებმა იგი მოხტუნავე ბურთს შეადარეს. კალათბურთელებიც კმაყოფილები არიან. ამ კაცმა იცის თავისი საქმეო, უთქვამს ძირითად გამთამაშებელ როდ სტრიკლენდს. ისიც თქვა, მთლიანად განსხვავდება წინა მწვრთნელის, გარ ჰერდისგანო. თურმე სტრიკლენდს რომ ჰკითხო, გუნდში წყალს სწორედ ჰერდი ამღვრევდა, როცა ვეტერანთა ინტერესებს არ ითვალისწინებდა და მათ აზრს აინუნშიც არ აგდებდა. სწორედ ამან მიიყვანა გუნდი მძიმე მდგომარეობამდე. დაახლოებით ასე ილაპარაკა როდ სტრიკლენდმა და ის კი სულაც არ გახსენებია, რომ თვითონ მას ზარმაცობის სენმა დარია ხელი და ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელი რიგით მოთამაშედ იქცა.

ახალ მწვრთნელს ამ გამარჯვების შემდეგ ყველა იმედის თვალით შესცქერის. უოლკერმა გუნდის ტაქტიკურ მონახაზშიც შეიტანა ცვლილება, ჯუონ ჰოვარდი ფრთის პოზიციიდან თავდამსხმელის ადგილას განამწესა და ფარქვეშ მეტი სამუშაო გაუჩინა. ჰოვარდი „მინესოტას“ ლიდერ კევინ გარნეტს დაუდგა და ამ გამხდარი, მაგრამ ლვედივით მოქნილი წოწოლას ბატონობა ოდნავ შეზღუდა. თვითონ მატჩში 14 ქულასთან ერთად ამ სეზონში მისთვის უჩვეულოდ ბევრი, 13 მოხსნაც გაახერხა და თან შვიდი შედეგიანი გადაცემაც დაურთო. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვაშინგტონს“ გამარჯვებაში კარგად დაეხმარა მთავარი მექულე, მიჩ რიჩმონდი, რომელსაც იდაყვის ტრავმამ ექვსი მატჩი გააცდენინა.

„ოლ სტარში“ პირველად მონაწილე ჯერი სტეკჰაუზის თავგამოდებამ ვერ უშველა „დეტროიტს“, რომელიც შინ „საკრამენტოს“ ლიდერ გრანტ ჰილის გარეშე დახვდა. სტუმრები ამ გამარჯვებას კრის ვებერის და ჯეისონ ვილიამსის დუეტს უნდა უმადლოდნენ. განსაკუთრებით პირველმა იყოჩაღა. ვებერი წარმოშობით დეტროიტიდანაა, მაგრამ ამ გარემოებამ მის გაგიჟებას უფრო შეუწყო ხელი. საკრამენტოელმა მშობლიური ქალაქის გუნდს სეზონში სარეკორდო, 39 ქულა ჩაუგდო.

„დენვერს“ აღარა ჰყავს მთავარი ბომბარდირი რონ მერსერი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლორადოელებმა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დაცვით გუნდს 48 წუთის განმავლობაში 135 ქულა ჩაუგდეს. „მილუოკიმ“ მარტო პირველ მეოთხედში მიიღო მეტოქისგან 45 ქულა.




REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონი — მინესოტა. კევინ გარნეტი მსაჯთან მომჩივანი ვაშინგტონელი კრის ვიტნის ფეხზე წამოყენებას ცდილობს

**ირაკლი ფირცხვილი**

# ბარკლი ბრუნდება... ერთი თამაშით

ჩარლზ ბარკლი კალათბურთს უბრუნდება, მაგრამ მხოლოდ ერთი თამაშით. როგორც ჩანს, სერ ჩარლზს არ სურს სეზონის ასე დასრულება და გადაწყვიტა, თავისი სიტყვა თქვას. სავარაუდოდ, იგი თავის სპორტულ კარიერას „ჰიუსტონ როკიტსის“ ბოლო თამაშზე (რეგულარულ სეზონში) დაასურლებს, 19 აპრილს. ამ დღეს „ჰიუსტონი“ შინ ხვდება აუტსაიდერ „ვანკუვერს“ და სწორედ ამ მატჩში შეასრულებს სერ ჩარლზი გედის სიმღერას. ამ დღეებში ბარკლი ერთ-ერთ შოუ-გადაცემაში მონაწილეობდა და ამის შესახებ სწორედ იქ განაცხადა, რითაც, ცხადია, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ბარკლის ისიც ჰკითხეს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კვლავ მოუბრუნდებით აქტიურ კალათბურთსო. „მხოლოდ ერთი თამაშით, მეტით არა. ამას წყალი არ გაუვა“ — ასეთი იყო პასუხი. ისე, არაა გამორიცხული, ეს ყველაფერი ჩანაფიქრადვე დარჩეს. სერ ჩარლზი ამ მხრივ ძალიან მერყევია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაუწყვეტია მას, კალათბურთისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ მერე მაინც ყოველთვის მობრუნებულა და იქამდე თამაშობდა, სანამ გასულ წელს, 8 დეკემბერს, „ფილადელფიასთან“ შეხვედრაში მუხთალმა მუხლმა არ უმტყუნა. მაშინ კი იძულებული შეიქმნა, მართლა გამოსთხოვებოდა ბურთსა და მოედანს. მან 11 დეკემბერს ოპერაციაც გაიკეთა და ახლა ალბათ თავს უკეთ გრძნობს, რადგან თვლის, რომ თამაში შეუძლია. როგორც ჩანს, ამ მატჩით მართლა დასრულდება თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელის 16-წლიანი კარიერა.

თექვსმეტი არასრული სეზონის განმავლობაში ბარკლიმ არცთუ მცირედს მიაღწია. ითამაშა თერთმეტი „ოლ სტარი“, 1993 წელს დაასახელეს სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ, შეიყვანეს ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის. მას აგრეთვე მოუგია 1992 წლის ბარსელონას და 1996 წლის ატლანტას ოლიმპიადებზე ოქროს მედლები. ერთადერთი, რაზეც ბარკლის ყოველთვის სწყდებოდა გული და ახლაც სწყდება, ისაა, რომ იგი ვერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი, ვერ დაიმშვენა თითი საჩემპიონო ოქროს ბეჭდით.

# მელოუნი პარსკვლავებს გამოაკლდა

„იუტა ჯაზის“ თავდამსხმელი კარლ მელოუნი გამოტოვებს „ოლ სტარს“, რომელიც 13 თებერვალს უნდა გაიმართოს. ამის მიზეზი ზურგისა და თითის ტრავმებია, რომლებიც თურმე „ფოსტალიონს“ კარგა ხანია, აწუხებს და ამ რამდენიმე დღის წინაც შეახსენა თავი. მელოუნმა ზურგი საწვრთნელი ბანაკების დროს იტკინა სეზონის დაწყებამდე და მთელი სეზონი ასე გაატარა, სანამ სიეტლთან 98:104 წაგებულ შეხვედრაში ტრავმა არ გაუმიზეზდა. რაც შეეხება მტკივან თითს, მელოუნი წელიწადზე მეტია, ასე თამაშობს, აწუხებს „მუშა“ ხელის თითი. „ფოსტალიონს“ გადაუწყვეტია, სწორედ „ოლ სტარის“ დროს მოინახულოს ექიმები არკანზასისა და კალიფორნიის შტატებში.

მელოუნს „ოლ სტარში“ თერთმეტჯერ მიუღია მონაწილეობა და არის იმ რვა მოთამაშეს შორის, ვისაც ორჯერ და მეტჯერ მოუპოვებიათ „ოლ სტარის“ თამაშის უძვირფასესის წოდება.

ჯერჯერობით არაა ცნობილი, ვინ შეცვლის მელოუნს. ეს გუშინ გადაწყდებოდა, დასავლეთის გუნდების მთავარ მწვრთნელთა გამოკითხვის შემდეგ.

# აისელი ჯერ ორლანდოს გაურიგდა, მერე მშობლიურ დენვერს

ორი კვირის შემდეგ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო სეზონი დაიხურება. ამის გამო მოთამაშეთა გაცვლა-გამოცვლის მსურველი გუნდები ამ დღეებში გააქტიურდნენ და რამდენიმე ვაჭრობაც უკვე გაიმართა.

„ორლანდო მეჯიქმა“ ყველაზე ინტენსიურად ივაჭრა სეზონთაშორის პერიოდში, რის შედეგაც თითქმის მთლიანი შემადგენლობა გამოცვალა. კლუბის გენერალურ მენეჯერს ჯონ გაბრიელს გადაუწყვეტია, ამ სეზონის ბოლოსთვის გვარიანი თანხა გამოათავისუფლოს, რათა აგვისტოში გასახსნელ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე მნიშვნელოვანი შენაძენები გააკეთოს. გაბრიელის გეგმა ეტაპობრივად ხორციელდება: სამშაბათს მან სამი ისეთი მოთამაშე გადაიბირა, რომლებიც მალე გახდებოდნენ თავისუფალი აგენტები.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ორლანდომ“ „დენვერ ნაგითსისგან“ მიიღო უკანახაზელები ჩონსი ბილაფსი, რონ მერსერი და ჯონი ტეილორი. მათ სანაცვლოდ კი დათმო ფრანგი უკანახაზელი ტარიკ აბდულ-ვაჰადი და ფორვარდი კრის გეტლინგი, აგრეთვე, მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანი.

სანამ „ორლანდოს“ გენერალური მენეჯერი კლუბის პრობლემებს აგვარებს, „დენვერის“ გენერალური მენეჯერი დან აისელი პირადი პრობლემების გადაწყვეტაშია. აისელს სამი თანამდებობა უჭირავს „ნაგითსში“: პრეზიდენტის, გენერალური მენეჯერის და მთავარი მწვრთნელის. „ორლანდოსთან“ მოწყობილი გარიგებიდან რამდენიმე საათის შემდეგ აისელმა ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის ძალითაც სამივე თანამდებობა შეინარჩუნა. ამ შემთხვევაში კონტრაქტზე ხელმომწერ მეორე მხარედ „დენვერ ნაგითსის“ მფლობელი ფირმის „ეშენთ სპორტსის“ პრეზიდენტი დონ ელიმენი მოგვევლინა.



დან აისელი

აისელი „ნაგითსის“ გენერალური მენეჯერი 1998 წლის 25 მარტიდანაა. შარშან სექტემბერში მან გუნდიდან გააგდო მწვრთნელი მაიკ დანტონი და მისი ადგილი დაიკავა, იმავე დღეს კი კლუბის პრეზიდენტობაც შეითავსა. აისელი ერთხელ უკვე წვრთნიდა „ნაგითსს“, 1995-97 წლებში 96 მატჩი მოაგებინა და 102 წააგებინა. მოთამაშე დან აისელი 1975-85 წლებში იცავდა „დენვერის“ ღირსებას. კარიერის დასრულებისას იგი იყო გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი და მომხსნელი. „ნაგითსმა“ დაუფასა აისელს შრომა და მას მუდმივი ნომერი მიაკუთვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლოვენია

# ბოისა სლოვენიის ოლ სტარს ითამაშებს



ვლადიმერ ბოისა სლოვენიის ჩემპიონატის ელიტაშია

5 თებერვალს ლიუბლიანის „ჰალა ტივოლიში“ გაიმართება სლოვენიის „ოლ სტარი“. ერთმანეთს შეხვდებიან ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე სლოვენიელი და უცხოელი კალათბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდები. შემადგენლობები ამგვარი პრინციპით ირჩევა: ორივე გუნდის ხუთეულებს ასახელებენ გულშემატკივრები საყოველთაო გამოკითხვის შედეგად, ხოლო დანარჩენ მოთამაშეებს ასახელებს გუნდის მწვრთნელი.

უცხოელების გუნდს ნოვო მესტოს „კრკას“ ხორვატი მწვრთნელი ივო სუნარა უთავკაცებს. სწორედ მან ამოირჩია ლიუბლიანის „სლოვანის“ 18 წლის ქართველი ფორვარდი ვლადიმერ ბოისა და შაბათს თავის, „უცხოელების“ გუნდში ათამაშებს. ბოისა გახდა მეორე ქართველი, ვისაც სლოვენიის „ოლ სტარში“ თამაშის პატივი ერგო. მანამდე აღნიშნულ თამაშებში მონაწილეობდა ვლადიმერ სტეფანია.

„სლოვენიელების“ მწვრთნელია ლიუბლიანის „ოლიმპიას“ დამრიგებელი ზმაგო საგადინი. ორივე გუნდის შემადგენლობა კი ასეთია:

*„სლოვენიელები“.* ხუთეული: *სანი ბეჩიროვიჩი, იური ზდოვცი (ორივე „ოლიმპია“), მატიაჟ სმოდიში („კრკა“), მარკო მილიჩი, სლავკო კოტნიკი (ორივე „ოლიმპია“).*

დანარჩენები: *პრიმოჟ ბრეჟეცი, მილოშ პარავინია, სლავკო დუშჩაკი (ყველა „ოლიმპია“), ერვინ დრაგშიჩი, ბოშტიან ნახბარი, გორან იურაკი (ყველა „პივოვარნა“).*

*„უცხოელები“.* ხუთეული: *შარუნას იასიკევიჩუსი (ლიტვა, „ოლიმპია“), ივო ნაკიჩი (ხორვატია, „კრკა“), იურიცა გოლემაცი (ხორვატია, „ოლიმპია“), მილიან გოლიოვიჩი (იუგოსლავია, „პივოვარნა“), მილეტა ლისიცა (იუგოსლავია, „პივოვარნა“).*

დანარჩენები: *ვლადიმერ ბოისა (საქართველო, „სლოვანი“), ზორან ვისკოვიჩი (ხორვატია, „კრკა“), აბდურაჰმან კაჰრიმანოვიჩი (ბოსნია, „სავინსკი“), ელვირ ოვჩინა (ბოსნია, „სავინსკი“), ველკო პეტრანოვიჩი (ხორვატია, „ტრიგლავი“), მარიო ჰრიმორაცი (ბოსნია, „ზაგორიე“), დამირ მილაჩიჩი (ხორვატია, „ოლიმპია“).*

„ოლ სტარის“ პროგრამაშია სამქულიანებისა და ჩატენვების კონკურსი. ჩატენვებში მონაწილეობას მიიღებს „სლოვანის“ კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი, 16 წლის ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი.

*სულ ახლახან თურქეთიდან დაბრუნდა ბათუმის „ბასკოს“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ემირიძე. იგი სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა სტამბოლში, სადაც მას ოფიციალური მიღება მოუწყო თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თურგაი დემირელმა.*

*დღეს უკვე აღარავისთვისაა უცხო, რომ ზღვისპირული „ბასკო“ სამომავლოდ დიდ გეგმებს ისახავს და ევროპულ კალათბურთში დამკვიდრება სურს. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი ემირიძის მეზობელ ქვეყანაში სტუმრობის მიზეზიც არ უნდა იყოს, გაუგებარი, მით უფრო, რომ თურქული კალათბურთი აღმავლობის გზას ადგას და ღირსეული ადგილიც უჭირავს თანამედროვე ევროპულ კალათბურთში.*



მერაბ ემირიძე

# დემირელი კარგი კაცია

## თურქული კალათბურთის თავკაცი ბათუმელებს დაუძმობილდა

— ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროში დავსახოთ „ბასკოს“ სამომავლო გეგმა — *გვეუბნება მერაბ ემირიძე* — ამიტომაც ვეწვიე თურქეთს, მომეცა იქ ჩასვლის და უფრო კონკრეტული ქმედების საშუალება, რაც ხელიდან არ გავუშვი. თურგაი დემირელმა ძალიან თბილად მიმიღო, ჩვენს შორის საქმიანი მოლაპარაკებები წარიმართა, მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**— საბოლოოდ რაიმეზე თუ შეთანხმდით?**

— მოვილაპარაკეთ, რომ უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ ამ თვეშივე, „ბასკო“ ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს თურქულ კლუბებთან. მერე და მერე კი ამას ტრადიციული სახე მიეცემა. ჩვენთან პაექრობის სურვილი გამოთქვეს როგორც უმაღლესი, ასევე პირველი ლიგის გუნდებმაც. საუბარია სტამბოლის, ბურსას, იზმირისა და ანკარას კლუბებზე. ისინი საქართველოში ჩამოსვლაზეც თანახმანი არიან. თუკი დროს გამონახავენ, აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას სამომავლოდ ბათუმში დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირებში. მსგავსი სახის შეჯიბრებებში „ბასკოც“ არის მიწვეული სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში. მაგ დროს თურქეთში უამრავი ტურნირები ეწყობა და ასარჩევადაც კი გვექნება საქმე. ყოველივე ამას ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ, თურქულ კლუბებთან ურთიერთობა „ბასკოსთვის“ და არა მარტო მისთვის, ძალიან მომგებიანი იქნება, მათთან თამაშით მიღებული გამოცდილება „ბასკოს“ დიდად დაეხმარება საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მიღწევაში.

**— თამაშების გამართვა თებერვალშივე შესაძლებელიაო, ამბობთ. ჩვენშიც და თურქეთშიც ახლა ჩემპიონატები მიმდინარეობს, იძლევა ამის საშუალებას კალენდარი?**

— მაგას როგორმე მოევლება. სტამბოლშივე შევხვდი თურქეთის კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, რომელმაც ასევე დახმარება აღმიქვა. ჩემპიონატს ვერ შევაფერხებთ, მაგრამ თუ საჭირო გახდება, თასის თამაშებს გადავდებთო, შემპირდა. არა მგონია, ჩვენებიდანაც რაიმე წინააღმდეგობას წავაწყდეთ. შეიძლება ყველაფრის ისე გაკეთება, რომ არაფერი დაშავდეს, „მაკაბის“ მაგალითიც ამაზე მეტყველებს.

**— ნაკრებზე არაფერი თქმულა? ვფიქრობ, მხოლოდ „ბასკოთი“ არ უნდა შემოფარგლულიყავით...**

— 2001 წელს თურქეთი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. ვეცადე და მივაღწიე კიდეც, რომ ქართულ დელეგაციასაც მიეცეს იქ დასწრების საშუალება. ვერ გეტყვით, თუ ვინ გაემგზავრება იქ, მაგრამ ჩვენი დიდი სურვილია, რომ ნაკრების მწვრთნელებმა თავად ნახონ ყოველივე, საქმის კურსში იყვნენ და უფრო მეტი წარმოდგენა შეიქნან თანამედროვე ევროპულ კალათბურთზე. თურქები ყაბულს არიან, მიგვიღონ და ღირსეულ მასპინძლობასაც გვპირდებიან. მთლიანობაში ეს ნაკრებსაც წაადგება. ეროვნულ გუნდზე უფრო კონკრეტული საუბრები სამომავლოდ გადავდეთ.

გიორგი ბიჭაშვილი

# რმალისტი ბერძენიშვილი ბრინჯაოზე ფიქრობს

*ურთულესი ტრავმისა და სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ სასურველი ფორმაც აღიდგინა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და სლოვაკური „ლევიცეს“ ცენტრმა, დავით ბერძენიშვილმა. პირველივე შეხვედრაში თითქმის ცალი ხელით მოთამაშე ბერძენამ 16 ქულას მოუყარა თავი. მერე და მერე უპრობლემოდ დაიბრუნა თავისი ადგილი ძირითად ხუთეულში და დღეს უკვე ქართველი ცენტრი „ლევიცეს“ ლიდერადაც იქცა, გუნდის სული და გულია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბერძენიშვილის გამოჯანმრთელებამდე „ლევიცე“ გათამაშების ცხრილში მეშვიდე ადგილს ტკეპნიდა და წინ ნაბიჯსაც ვერ დგამდა. სადღეისოდ კი ჩვენებური ლეგიონერის გუნდი საპატიო მეოთხე ადგილზე მოკალათებულა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე „ლევიცე“ ექვსეულს ახლოსაც ვერ გაკარებოდა.*

*ნელ-ნელა გადამწყვეტ ფაზაში შედის სლოვაკეთის ჩემპიონატი. თუ ასევე გაგრძელდა, „ლევიცეს“ მედლებისთვის ბრძოლის რეალური შანსიც გაუჩნდება. ქართველი ცენტრიც ერთთავად იმაზეღა ფიქრობს, რომ სლოვაკეთის სამგზის ოქროს (წინა სამი სეზონი ბერძენიშვილი „სლოვაკოფარმაში“ თამაშობდა და ამდენჯერვე ქვეყნის ჩემპიონი გახდა), სულ ცოტა, ბრინჯაოს მედალიც წამატოს წლეულს. დანარჩენზე კი თავად დათო გასცემს პასუხს, რომელსაც შინ, სლოვაკეთში დავუკავშირდით:*



დავით ბერძენიშვილი

— ის, რომ დღეს მეოთხეზე ვართ, უკვე დიდ წარმატებად აღიქვეს კლუბის ხელმძღვანელებმა. ძალიან გახარებულები არიან, არც მალავენ, ოთხეულში მოხვედრას სეზონის წინ ვერც კი ვიფიქრებდითო, ამბობენ. მომავალი შაბათიდან ექვსეულის თამაშები დაიწყება. „ლევიცეს“ ბედი კი უკანასკნელ ორ ტურში გადაწყდა. ყველასთვის მოულოდნელად დავამარცხეთ „ჟილინა“, გუშინ კი ბრატისლავის „სტარტს“ ვძლიეთ და ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით ერთბაშად სამი საფეხურით წინ წავიწიეთ.

**— ორიოდ სიტყვით ჩემპიონატის სისტემაზეც გვიამბე...**

— ექვსეულის თამაშები ერთ წრედ ჩატარდება მიმოსვლის სისტემით. ამის მერე პირველ-მეორეზე გასულები ფინალს ითამაშებენ ოთხ მოგებამდე, მესამე-მეოთხე ადგილოსნები კი სამ მოგებამდე ბრინჯაოსთვის იბრძოლებენ.

**— „ლევიცეს“ შანსებზე რაღას იტყვი?**

— ფინალში გაღწევა არარეალურად მეჩვენება, „სლოვაკოფარმა“ და „ინტერი“ დანარჩენებზე გაცილებით მაღლა დგანან და, ალბათ, ფინალშიც ისინი დაეჭიდებიან. მესამეზე მყოფ „სვიტს“, ჩვენ, „ჟილინას“ და „პრევიძას“ კი ბრინჯაოს დაუფლების თანაბარი შანსები გვაქვს. მაღა ჭამაში მიდისო და „ლევიცეს“ თავკაცებმა ახლა ბრინჯაოზე ფიქრი იწყეს. ეს სულაც არ გახლავთ შეუძლებელი, მთავარია, ბოლომდე გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები.

**— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ ასე მოკლე დროში ავთამაშდებოდი. უკმაყოფილო რატომ უნდა ვიყო, თითქმის ყველა შეხვედრაში დანარჩენებზე შედეგიანი ვარ და მწვრთნელებიც მემადლიერებიან. ყველაფერი რიგზეა, ოდნავ გამძლეობა მაფერხებს, სამი თვით უვარჯიშებლობამ მაინც თავისი დაღი დამასვა.

**— ნატკენი ხელი საერთოდ აღარ გაწუხებს?**

— იშვიათად. თუ ძალიან მეუხეშებიან, მხოლოდ მაშინ მტკივა. სხვა მხრივ არანაირი პრობლემა არ მაწუხებს. ბოლომდე ვტვირთავ ტრავმირებულ მკლავს და ბურთსაც ძველებურად ვგრძნობ.

**— ჩვენი წინა საუბრისას, მახსოვს, ძალიან წუხდი: მაისში ოპერაციას ვიკეთებ, მკლავიდან რკინები უნდა ამომაცალონ და ნაკრებში ჩამოსვლა რანაირად მომიხერხდება, არ ვიციო.**

— დღემდე გაურკვევლობაში ვარ. ნაკრებში თამაშზე უარს როგორ ვიტყვი, მაგრამ აქაური ექიმებიც შემიჩნდნენ, გადადება არ ივარგებს, გინდა თუ არა, მაისში უნდა ამოგაცალოთ რკინებიო. საშიში ყოფილა, შეიძლება მერე ძვალს შეუხორცდეს.

**— მაშ, ეროვნულ გუნდს ვერ შეეშველები დანიაში გასამართ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე?**

— ხომ გეუბნები, ჯერ არ ვიცი. არადა, ძალიან მინდა ნაკრებში თამაში. ყველანაირად ვეცდები, მოვახერხო, ივნისისთვის გადამიდონ ოპერაცია. თუ ეს შესაძლებელი გახდება და ნაკრებსაც დავჭირდები, მზად ვარ, ვემსახურო.

გიორგი ბიჭაშვილი

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 3 თებერვალი

| | |
|---|---|
| **E ჯგუფი** | |
| ცსკა 90:85 თოფაში | |
| ბენეტონი 86:78 ალბა | |
| ბარსელონა 66:64 ჟალგირისი | |
| **F ჯგუფი** | |
| რეალი 72:61 პაოკ | |
| ოლიმპია 69:55 შოლე | |
| პანათინაიკოსი 67:58 ცრვენა ზვეზდა | |
| **G ჯგუფი** | |
| მაკაბი 74:60 ბუდუჩნოსტი | |
| ოლიმპიაკოსი 74:63 კახა სან ფერნანდო | |
| **H ჯგუფი** | |
| ციბონა 75:59 ვარეზე | |
| ეფესი 78:68 პივოვარნა | |

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საარიცხვო ბარათის მოსაწესრიგებლად და ახალი მოწმობის მისაღებად, გთხოვთ, მობრძანდეთ ასოციაციის ოფისში (რუსთაველის 42). ტელ. 99-08-22, 99-94-09. თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი.

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*

**ჰოლანდია**

XX ტური

პსვ 0:1 ფეიენოორდი

0:1 პაუვე (23)

**ესპანეთი**

თასის მერვედფინალი. II წრე

რეალი 2:0 სარაგოსა (0:0)

**აფრიკის თასი**

ნიგერია 2:0 მაროკო

1:0 ფინიდი (29), 2:0 აგაოვა (81)

ტუნისი 1:0 კონგო

1:0 ჯაიდი (17)



ნიგერია — მაროკო 2:0. ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდა და მაროკოელ მეტოქეს დაასწრო

# ჭიაჳ, ჭიაჳ...



*კრეიგ პერი ავსტრალიელი მეგოლფეა, რომელმაც სიდნეიში, გრეგ ნორმანის საერთაშორისო ტურნირზე ბურთი ისე დაარტყა, რომ ბუჩქებში დაკარგა. ახლა, როგორც ხედავთ, ალბათ, იპოვნიდა.*



# უფრო ბეისბოლის კაცი

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან ჯორჯ ბუშ-უმცროსი, ვაჟი კლინტონამდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა, კარგ ხასიათზეა. ნიუ ჰემშირის შტატის წინასწარი გამოკითხვები მის სასარგებლოდ ამეტყველებულან. ქალაქ პორტსმუთის საფეხბურთო მინდორზე გასულს, ჟურნალისტები დახვევიან და საფეხბურთო შეკითხვები დაუყრიათ.

„მე უფრო ბეისბოლის ჯეელი ვარ“, უპასუხია ჯორჯ ბუშს, როგორც ნაღდ ამერიკელს.

# ნუ ინერვიულებთ

არა, არა ბატონო! ისეთი არაფერი. ეს ჩახდილი კაცი გერმანელი ჩოგბურთელი მარკ გელერი გახლავთ და მხოლოდ იმიტომ ჩაიხადა, რომ პიზიოთერაპევტმა მასაჟი — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — გაუკეთოს!

აბა, დევისის თასზე ჰოლანდიასთან ზურგმტკივანი ხომ არ ითამაშეს.



# აქეთ თომასი, იქით უბერი

ბადმინტონის საქმე როგორ არის იცით? ჩვენს გარდა ყველგან იმას ცდილობენ, ის, რაღაც ბადიანი ბურთი, ვოლანი რომ რქმევია, მოწინააღმდეგემ ვერ მოიხელთოს და მის ნახევარზე ჩავარდეს. ჩვენში, მოგეხსენებათ, პირიქითაა, აგარაკებზე გართობისას იმას ვცდილობთ პარტნიორისთვის მოსახერხებლად ვისროლოთ ეს, ესე იგი, ვოლანი. ერთი სიტყვით პრინციპია სხვა, იქ მოთამაშენი მეტოქენი არიან, ჩვენთან შეყვარებულები, მაგრამ ამაზე ნუღა შევჩერდებით და ყურადღება ფოტოზე აღბეჭდილ ფუტკარზე გადავიტანოთ. ეს ფუტკარი „თომასისა და უბერის“ თასის თილისმაა და კუალა ლუმპურში ლოგოს პრეზენტაციას აწყობს. აქ, 15-21 მაისს უნდა ჩატარდეს ხსენებული შეჯიბრება, სადაც „თომასის“ თასის მფლობელი ინდონეზია და „უბერის“ თასზე გამარჯვებული ჩინეთი ფავორიტები იქნებიან.




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli